ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლაშა ყრუაშვილი

საერთაშორისო ტერორიზმის ფენომენი XXI საუკუნეში: ასიმეტრიული სამხედრო საფრთხე და საერთაშორისო საზოგადოება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია კონფლიქტების ანალიზისა და მართვაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თემის ხელმძღვანელი: ვახტანგ მაისაია

ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2019

Lasha Kruashvili

The phenomenon of international terrorism in the XXI century: asymmetric military threat and the international community.

Master's thesis is submitted for obtaining the Master's Degree in Conflict Analysis and Management

Head of the topic: **Vakhtang Maisaia**

Associate Professor

Tbilisi. 2019

ანოტაცია

ტერორიზმი XXI საუკუნეში მსოფლიოს უდიდეს გამოწვევად იქცა,მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები და ორგანიზაციები უდიდეს ძალისხმევას იჩენენ რომ აღკვეთონ ტერორისტული საფრთხეები, მაგრამ აღნიშნული ძალისხმევის მიხედავად ევროპისა და ამერიკის ქალქები არაერთხელ გახდა ტერორისტული აქტების მსხვერპლი.შეგვიძლია თამამად ვთქვათ რომ ტერორიზმი არის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა მათ შორის რაც ცივი ომის შემდეგ კაცობრიობის წინაშე დადგა.

ნაშრომის მიზანია გამოვიკვლიოთ „საერთაშორისო ტერორიზმის“ მახასიათბლები, ასიმეტრიული საფრთხეები რომლებიც მომდინარეობს XXI საუკუნის ტერორიზმიდან, ტერორისტულ ორგანიზაციების შემადგენლობა, სტრუქტურა, მიზნები და ამოცანები,ის სოციალური ეკონომიკური თუ პოლიტიკური წინაპირობები რომელმაც ხელი შეუწყო კვაზი სახელმწიფოებრივი აგრესიული აქტორის ჩამოყალიბებას.ასევე წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს გამოვიკვლიოთ სართაშორისო ორგანიზაციებისა და კონკრეტული სახელმწიფოების მიდგომები ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით, მათი სამართლებრივი და კონცეფტუალური ასპექტები, კონტრტერორისტული საქმიანობა რომელიც მიმდინარეობს მსოფლიოს მასშტაბით, რათა მაქციმალურად შემცირდეს საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხე.

ნაშრომის მთავარი საკვლევი კითხვებია : რას წარმოადგენს საერთაშორისო ტერორიზმი? რა კავშირშია საერთაშორისო ტერორიზმი ასიმეტრიულ სამხედრო საფრთხეებთან? როგორია საერთაშორისო საზოგადოების როლი და მიდგომები, საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში? რამ შეუწყო ხელი კვაზი სახელმწიფოებრივი აგრესიული აქტორების ჩამოყალიბებას?

კვლევისთვის გამოყენებულია თვისობრივი მეთოდი და დედუქციური მიდგომა, რომელიც გულისხმობს წინასწარ შემუშავებული ჰიპოთეზის კვლევის და თეორიული ანალიზის შედეგად დადასტურებას. კვლევის პროცესში ჩატარდა ორი სიღრმისეული ინტერვიუ აღნიშნული თემის ექსპერტებთან.

ჰიპოთეზიდან გამომდინარე საკვლევი ცვლადების ანალიზისთვის გამოყენებულია თანამშრომლობითი კავშირების შექმნის მატრიცა, ხოლო თეორიულ ჩარჩოდ აღებულია რიჩარდ კოენის მოდელი.

Annotation

Terrorism in the 21st century has become the biggest challenge in the world. leading countries and organizations of the world that are making great efforts to prevent terrorist threats, but despite these efforts, European and American cities have repeatedly become victims of terrorist acts. We can confidently say that terrorism is one of the main problems among those that humanity faced after the cold of war.

The purpose of this work is to study the characteristics of "international terrorism", asymmetric threats emanating from the XXI century terrorism, the composition, structure, goals and objectives of terrorist organizations. The present work is aimed at studying the approach of international organizations and specific countries with respect to countering terrorism, their legal and conceptual aspects, countering terrorism actions that are carried out throughout the world in order to minimize the threat of international terrorism.

The main research questions of the essay: what is international terrorism? What is the connection between international terrorism and asymmetrical military threats? What is the role and approaches of the international community in the fight against international terrorism?

The study uses an intrinsic method and a deductive approach, which involves the confirmation of a previously put forward hypothesis as a result of the study and theoretical analysis. During the research, two in-depth interviews were conducted with the expert community.

For the analysis of the variables under research, the matrix used to create collaborative relationships was used, and the theoretical framework was taken from the Richard Cohen model.

სარჩევი

ანოტაცია.....3

Annotation.....4

შესავალი.....7

თავი I. 1.1. საერთაშორისო ტერორიზმი როგორც 21 საუკუნის ასიმეტრიული გამოწვევა.....12

1.2. ტერორისტული ორგანიზაციების მიზნები და ამოცანები 21

1.3 ტერორისტული ორგანიზაციების კლასიფიკაცია იდეოლოგიის მიხედვით, ტერორისტული აქტის ფორმები.....23

1.4 ვაჰაბიზმი 34

თავი II 2.1 თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის თავისებურებანი და საერთაშორისო ტერორიზმი ფაქტორი.....37

2.2 ისლამური სახელმწიფო: ჩამოყალიბება, მიზნები, ტერორისტული საქმიანობა, სამხედრო ძალა, პროპაგანდა.....41

2.3 საერთაშორისო საზოგადოების მიდგომები საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში: სამართლებრივი და კონცეფტუალური ასპექტები. 54

დასკვნა 59

ბიბლიოგრაფია: 65

შესავალი

„ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, მსოფლიოში დაიწყო ერთგვარი გავლენის სფეროების გადანაწილება.თუ გავითავლისწინებთ იმ გარემოებას, რომ საუკუნის მიწურულს მსოფლიო დაუბრუნდა ორპოლუსიან მდგომარეობას და მიმდინარეობდა გამალებული „ბრძოლა“ როგორც ევროპული ქვეყნების ასევე აღმოსავლეთის ქვეყნების მთავრობებთან კავშირების ჩამოსაყალიბებლად,ამ პეროიდში ფართო მასებისათვის სრულიად მოულოდნელად მსოფლიო აღმოჩნდა სრულიად ახალი სახის ასიმეტრიული გამოწვევის წინაშე, ასიმეტრიული გამოწვევის რომელსაც სახელად ქვია „ახალი ტერორიზმი“. რათქმაუნდა ტერორისტული ორგანიზაციები XXI-ე საუკუნემდეც არსებობდა და შეგვიძლია მრავალი მაგალითი მოვიყვანოთ, მაგრამ „ახალი ტერორიზმი“ სრულიად განსხვავებული საფრთხე აღმოჩნდა, რომლის ასამკლავებლადაც მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფო ამერიკის შეერთებული შტატებიც კი არ აღმოჩნდა მზად.(მაისაია ვ. ობოლაძე ბ., ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ტერორიზმი XXI საუკუნეში, თბილისი 2009)

11.09.2001 მოხდა ტერაქტი, რომლის დროსაც საჰაერო ტერორიზმის საშუალებით მუსლიმმა ექსტრემისტულმა ორგანიზაცია „ალ-ქაიდამ“ მოახდინა სამგზავრო თვითმფრინავების გატაცება.თავდასხმა მოხდა მსოფლიოს სავაჭრო ცენტრის ორ შენობაზე, ასევე პენტაგონის შენობაზე რომელიც ამერიკული უსაფრთხოების ციტადელია .

ქართველი მკვლევარი ბირთვული უსაფრთხოების დარგში ა.გუჩუა 9/11 ტერაქტის შესახებ აღნიშნავს: „2001 09.11 ტერაქტის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები დადგა ახალი რეალობის წინაშე რომლისთვისაც აღმოჩნდა რომ მზად არ ყოფილა“ (გუჩუა.ა ექსპერტი ბითვული უსაფრთხოების სფეროში.ინტერვიუ)

9/11 ტერაქტის შემდეგ მსოფლიო მიხვდა რომ მათ წინაშე დგას სრულიად ახალი საფრთხე, რომლის წინააღმდეგაც განსხვავებული ბრძოლის მეთოდებია

საჭირო.მსოფლიოს ლიდერები მივიდნენ იმდასკვნამდე რომ ვერცერთი კონკრეტული ქვეყნის ძალისხმევა ვერ შეაძერებდა ტერორისტულ საფრთხეებს და საჭირო იყო ერთობლივი და კოორდინირებული მოქმედება.

აღნიშნული კვლევის კითხვებს წარმოადგენს:

- რას წარმოადგენს საერთაშორისო ტერორიზმი?
- რა კავშირშია საერთაშორისო ტერორიზმი, ასიმეტრიულ სამხედრო საფრთხესთან?
- როგორია საერთაშორისო საზოგადოების როლი და მიდგომები საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საკითხში?

კვლევისთვის გამოყენებულია თვისობრივი მეთოდი და დედუქციური მიდგომა, რომელიც გულისხმობს წინასწარ შემუშავებული ჰიპოთეზის კვლევის და თეორიული ანალიზის შედეგად დადასტურებას ან უარყოფას. კვლევის პროცესში ჩატარდა ორი სიღრმისეული ინტერვიუ აღნიშნული თემის ექსპერტებთან.

კვლევის მეთდოლოგია მოიცავს ბ.ჰოფმანის თეორიას ტერორიზმის შესახებ „ახალი ტერორიზმის“ თეორიას. ასევე უსაფრთხოების კვლევების კოპენჰაგენის სკოლის „სექურითიზაციის კონცეფციას“ და ცნობილი ამირიკელი მკვლევარის რიჩარდ კოენის „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორიას.

საკითხის კვლევის დაწყების შემდეგ,საკვლევის კითხვების დასმისა და კვლევის მეთოდების გამოყენებით გამოიკვეთა კვლევის **ჰიპოთეზა :**

ტერორიზმის ფენომენის ცვლილებები განხორციელდა ეპოქალური მოვლენების მიჯნაზე,როდესაც დასრულდა კლასიკური „ცივი ომი“ და მსოფლიო წესრიგის კონტურები დაეფუძნა ანარქიული მოდელირების პრინციპებს.გაჩნდა ახალი ტიპის გამოწვევები,რომლებსაც გაუჩნდათ კონკრეტული სახის სამხედრო-პოლიტიკური განზომილებები -იგივე აგრესიული კვაზი სახელმწიფოებრივი აქტორების სახით, სადაც საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციები გარდაიქმნენ კარგად ჩამოყალიბებულ სამხედრო ტიპის გაერთიანებებად, რომელიც იქცა XXI საუკუნის მთავარ გამოწვევად.

დამოუკიდებელი ცვლადი - საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციები წარმოადგენენ თანამედროვე მსოფლიოსათვის უმთავრეს გამოწვევას,რომელთაც გააჩნიათ პოლიტიკური, ფინანსური, იდეოლოგიური და კრიმინალური მიზნები.მიზნის მისაღწევად იყენებენ ტერორისტულ მეთოდებს, მოსახლეობის დაშინება რათა გავლენა მოახდინონ სახლმწიფოთა მთავრობებზე და ორგანიზაციებზე.

დამოუკიდებელი ცვლადი - კვაზი სახელმწიფოებრივი აქტორები წარმოადგენენ აგრესიულ ტერორისტულ ორგანიზაციებს რომელთაც გააჩნიათ ტერიტორიები,ამბიციები რომ გაზარდონ თავიანთი ტერიტორიული და სამხედრო პოტენციალი და იყენებენ როგორც სიმეტრიულ ასევე ასიმეტრიულ ბრძოლის მეთოდებს.

დამოკიდებული ცვლადი - ასიმეტრიული სამხედრო სტრატეგიები წარმოადგენს ბრძოლის ისეთ სტრატეგიას, რომლის შედეგების პროგნოზირება შეუძლებელია, ასეიმეტრიული სამხედრო სტრატეგიის ქვაკუთხედს წარმოადგენს ბრძოლის ისეთი მეთოდი როდესაც სუსტ მხარეს შეუძლია დაამარცხოს ან დიდი ზიანი მიაყენოს ძლიერ მხარეს.ასიმეტრიული სამხედრო სტრატეგიის ფარგლებში, ტერორისტული ორგანიზაციები იყენებენ ისეთ მეთოდებს როგორიცაა : გატაცება, მკვლელობა, აფეთქება, ქიმიური ბირთვული ან ბიოლოგიური თავდასხმა, ცეცხლის გაჩენა და ყველა ისეთი ქმედება რაც მოსახლეობაში დათესავს შიშს, ხოლო ტერორისტული ორგანიზაციები ამ შიშს გამოიყენებენ საკუთარი მიზნებს მისაღწევად.

დამოკიდებული ცვლადი - პოლიტიკური ისლამი წამოადგენს იდეოლოგიას, რომელიც მომდინარეობს რელიგია ისლამიდან.ყველაზე გავრცელებული პოლიტიკური ისლამის სახეობაა ვაჰაბიზმი(ფუძემდებელია მოჰამედ იბნ ალ-ვაჰაბი).

ვაჰაბიზმი არის იდეოლოგია რომელიც გულისხმობს მუსლიმთა გაერთიანებას, ბრძოლას ყველა „ურწმუნოსა“ და შიიტის წინააღმდეგ.პოლიტიკური ისლამი არის დღეს მოქმედი ყველა ისლამისტური ტერორისტული დაჯგუფების იდეოლოგია.მაგალითად „ისლამური სახელმწიფოს“ იდეოლოგიაა რომ აღადგინოს არაბული სახალიფო, სადაც იცხოვრებს ყველა მუსლიმი განურჩევლად ეთნიკური კუთვნილებისა და ერთად იბრძოლებენ „ურწმუნოთ“ წინააღმდეგ.

აღნიშნულ ნაშრომში განხილულია ერთ კონკრეტულ ტერორისტულ ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო“ იგივე „ISIS” იგივე „DAESH” , ორგანიზაციის ჩამოყალიბება და განვითარება, მის მიზნები და შემადგენლობა, განსაზღვრულია ორგანიზაციის სავარაუდო განვითარების ან რეგრესის საფუძვლები, ასევე ნაშრომში განხილულია საერთაშორისო საზოგადოების კონტრტერორისტულ საქმიანობა და სამართლებრივ კონცეფტუალურ ასპექტები.

ლიტერატურის მიმოხილვა

1) **სუჯაშვილი.დ „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ.**

ნაშრომი წარმოადგენს სიღრმისეულ კვლევას ტერორისტული საფრთხეებისა და მათი იდენთიფიკაციის საკითხში. წიგნში განხილულია ტერორისტული ორგანიზაციებისა და კერძო პირების მიზნები, ამოცანები და ის გზები რომელსაც ტერორისტები იყენებენ „ტერორის“ დასათესად, წიგნსი განხილულია როგორც მსოფლიოსწამყვანი ქვეყნებისა და ორგანიზაციების კონტრტერორისტული საქმიანობა, ასევე მათი სამართლებრივი და კონცეფტუალური მიდგომები

„ტერორიზმთან“ ბრძოლის საკითხში.აღნიშნული გზამკვლევი წარმოადგენს შესანისნავ გზამკვლევს იმ სტუდენტთათვის ვინც მუშაობს აღნიშნული მიმართულებით.

2) **მაღრაძე.გ მაისაია.ვ ,,21-საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები“, გამომცემლობა, ,,უნივერსალი“, თბილისი, 2017.**

ნაშრომში მოცემულია უსაფრთხოების პრობლემების გეოპოლიტიკური ანალიზი, თანამედროვე მსოფლიოს უსაფრთხოების კუთხით განსაკუთრებული როლი ენიჭება სამხედრო პოლიტიკურ ანალიზს. ნაშრომში განხილულია პოსტბიპოლარული ეპოქის შემდეგ შეცვლილი საერთაშორისო პოლიტიკა.ასევე ნაშრომი გვაძლევს დეტალურ ანალიზს იმ უმთავრესი საკითხების შესახებ როგორებიცაა : სამხედრო, ეკონომიკური, პოლიტიკური, საზოგადოებრივი,ეკოლოგიური და საინფორმაციო უსაფრთხოება. აღნიშნული საკითხები უდიდეს როლს ახდენენ გლობალიზაციის პროცესში საერთაშორისო უსაფრთხობაზე.

3) **ანთაძე.გ ,,სტრატეგიული კვლევები N2 “ გამომცემლობა ,,საუნივესიტეტო წიგნი“ თბილისი, 2009 წელი.**

ნაშრომი წარმოადგენს ძალიან კარგ გზამკვლევს, მათთვის ვინ დაინტერესებულია საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებით. ავტორი დაწვრილებით გვაწვდის ტერორიზმის შესახებ არსებულ დეფინიციებს და მათ ანალიზს.ნაშრომში აღწერილია ავტორის მიერ ტერორიზმის ახლებური ხედვა, „ტერორისზმი“ როგორც იდეოლოგიური ომის ფორმა, ავტორს კარგად აქვს განხილული ის გარემოება რომ იდეოლოგიურ ომს ვერ შევეწინააღმდეგებით კონვენციური საბრზოლო მოქმედებებით და ამისათვის საჭიროა კომპლექსურ მოქმედებათა სისტემის ჩამოყალიბება.

თავი I. 1.1. საერთაშორისო ტერორიზმი როგორც 21 საუკუნის ასიმეტრიული გამოწვევა

ტერორიზმი XXI საუკუნის უდიდესი გამოწვევაა როგორც ყოველი ცალკე აღებული ქვეყნისათვის, ასევე მთლიანი მსოფლიოსათვის.განსაკუთრებით ბოლო წლების განმავლობაში როდესაც საქმე იქამდე მივიდა რომ ტერორისტულ ორგანიზაციებს გაუჩნდათ ტერიტორიული პრეტენზიები, რისი თვალსაჩინო მაგალითიცაა „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნის მცდელობა.

ცნება ტერორი მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „terror” რაც ნიშნავს დაშინებას(შიშში ყოფნას),აღნიშნული ტერმინი გულისხმობს შიშისა და პანიკის დათესვას. ჯერ კიდევ ძვ.წელთაღრიცხვის 105 წელს ,ძველ რომში „terror cimbricus” აღნიშნავდა ბარბაროსული ტომების შემოსევებისა და მასობრივი მკვლელობების საპასუხოდ შემოღებულ განსაკუთრებულ მდგომარეობას.შემდგომში სიტყვა „ტერორს“ იყენებდნენ საფრანგეთის რევოლუციის დროს, რაც მოწინააღმდეგეთა მიმართ სასტიკ მოპყრობას გულისხმობდა , როდესაც ამბოხებული იაკობინელები პოლიტიკური მიზნების მისაღწევად არ თაკილობდნენ დაშინებასა და ძალადობრივი მეთოდების გამოყენებას,მათგან აღსანიშნავია თანამედროვე ტერორიზმის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი მძევლების აყვანა (დ.სუჯაშვილი „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ. გვ.11)

2001 წლის 9/11ტერაქტის შემდეგ ტერორიზმმა, როგორ უსაფრთხოების საფრთხის შემქმნელმა ფემომენმა უმთავრესი ადგილი დაიკავა მსოფლიოს ლიდერი ქვეყნების დღისწესრიში და უფრო და უფრო წამოიჭრა თემა ისეთ საკითხებზე, როგორიც ,,ძველი‘‘ და ,,ახალი‘‘ ტერორიზმია. და მართლაც, რა აქვთ მათ საერთო და რა განასხვავებთ მათ ერთმანეთისგან? არის თუ არა ეს რელიგიურად მოტივირებული და არასტრატეგიული, თუ პირიქით სტატეგიულად მართული ტრანსატლანტიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ? მიუხედავად აქ დასმული კითხვებისა მსოფლიო დღეს თანხმდება, რომ ტერორიზმი თავისი კლასიკური ,,ძველი‘‘ და არაკლასიკური ,,ახალი‘‘

გაგებით ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს მსოფლიოს განვითარებული ქვეყნებისათვის. კლასიკური ტერირიზმის მყარ მამოძრავებელ ძალად ვხვდებით ისეთ ფაქტორებს, როგორიც გახლავთ: ფუნდამენტალიზმი, რადიკალიზმი, ექსტრემიზმი და ფანატიზმი. დღეს კი უკვე XXI საუკუნეში ,,ახალი" ტერორიზმის სახით ჩვენ ვხვდებით სამხედრო-ტაქტიკურ დონეზე მოქმედ დაჯგუფებებს, რომელთაც შესწევ თძალა სწრაფი და მოქნილი წინააღმდეგობა გაუწიონ მოწინააღმდეგე მხარიეს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ტერორიზმი, როგორც ასიმეტრიული საფრთხე ტრასფორმირდა სამხედრო სტრატეგიულ დონეზე, რაც გამყარებული გახლავთ სამხედრო ბრძოლის ელემენტების ჩართულობით ტერორისტული აქტების დაგეგმვის დროს, რომელიც გარკვეულწილად შეიცავს ომის ელემენტებს. დღესდღეობით სამეცნიერო წრეებში ფართოთ განიხილება ე.წ. ,,პატარა ომის"(ასიმეტრიული ომის) ფენომენი და თუ კარგად დავაკვირდებით რთული არ იქნება იმის შემჩნევა, რომ სამხედრო ასიმეტრიული საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით წარმოებული ე.წ. ,,პატარა ომები" ტერორისტული ორგანიზაციების ჩართულობით XXI საუკუნის მთავარ გეოპოლიტიკურ გამოწვევას წარმოადგენს და ორმაგი საფრთხის წინაშე აყენებს მსოფლიოს: ერთის მხრივ აქ საქმე გვაქვს იდეოლოგიურად და სტრატეგიულად მობილიზებულ ტერორისტულ დაჯგუფებებთან ან თვითაღიარებულ ტერორისტულ ,,სახელმწიფოებთან" (ე.წ. ,,ისლამური სახელმწიფო") და მეორეს მხრივ კი სახეზეა სამხედრო-ტაქტიკური ბრძოლის ფენომენის ჩანაცვლება, ოპერატიულ-ტაქტიკური დონის ფენომენით, რაც მოიცავს: სწრაფ, ინტენსიურ და მოულოდნელი შეტევების დომინირებას. აქ აშკარდ იკვეთება ის მრავალმხრივი ტრანსფორმაცია რაც განიცადა ,,ძველმა" კლასიკურმა ტერორიზმმა სამხედრო-ტაქტიკური ელემენტების ჩართულობით, რამაც ფაქტობრივად გამოიწვია ომის ელემენტების წარმოქმნა დაპირისპირებულ მხარეებს შორის. ასეთ ტრანსფორმაციას მვიყავართ იმ ეტაპამდე, რასაც ჰქვია ,,ძველი ომის" გარდაქმნა ,,ახალი ტიპის ომის" ეტაპზე სადაც განსხვავებულია, როგორც მოქმედი აქტანტები, ასევე განსხვავებულია მათი მიზნებიც: ,,ძველი ომი" (ბესელია მ. ,,ნატოს სტრატეგიული კონცეფცია და ასიმეტრიული

სამხედრო საფრთხეები: ახალი ტერორიზმის ფენომენი და მასთან ბრძოლის სტრატეგიები“. კსუ-ს სამაგისტრო ნაშრომი. თბილისი-2018. გვ. 22-24)

აქტანტები: სახელმწიფოები, სახელმწიფოს მებრძოლები.

მიზნები: გეოპოლიტიკა და იდეოლოგიური მიზნები.

,,ახალი ომი“

აქტანტები: რეგულარული ძალები ან მათი ნაწილები, შეიარაღებული დაჯგუფებები, უცხო დაქირავებული მებრძოლები.

მიზნები: პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები, სასურველი ძალაუფლების დამყარება, ბრძოლა გადარჩენისათვის.(ბესელია მ. ,,ნატოს სტრატეგიული კონცეფცია და ასიმეტრიული სამხედრო საფრთხეები: ახალი ტერორიზმის ფენომენი და მასთან ბრძოლის სტრატეგიები“. კსუ-ს სამაგისტრო ნაშრომი. თბილისი-2018. გვ.24)

თანამედროვე გლობალურ სამყაროში ასიმეტრიულ საფრთხეებს მკვეთრი რყევების გამოწვევა შეუძლია, რომელიც უარყოფითად აისახება და საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ ინტერესებსა და საერთაშორისო უსაფრთხოებას. ასიმეტრიული საფრთხე წმინდა სამხედრო საფრთხის ჭრილში საკმაოდ დიდ საფრთხეს უქმნის ქვეყანას, როგორც შიდა თუ გარე პოლიტიკის წარმართვაში, რადგან ასიმეტრიული სამხედრო საფრთხე წარმოადგენს მჭიდროდ კომბინირებულ ფენომენს ტერორიზმისა, რომელიც მასობრივ მკვლელობებზეა მიმართული და იყენებს სამხედრო ტაქტიკურ მიდგომებს, რომელიც მიზნის ზუსტი შესრულების სტრატეგიით გამოირჩევა. უნდა ავღნიშნოთ ის გარემოება, რომ დღეს ცივილიზებული სამყარო დგას, როგორც ეკონომიკური, სამხედრო, ტერორისტული და კრიმინალური საფრთხეების წინაშე და სწორედ აღნიშნული საფრთხეების აღმოფხვრის შედეგად მიიღწევა უსაფრთხოების ის დონე, რომელზედაც დემოკრატიული ქვეყნები შეძლებენ, დემოკრატიული

ღირებულებების განმტკიცებას და განვითარებას. ასიმეტრიულ სამხედრო საფრთხედ შეგვიძლია განვიხილოთ ისრაელის ბრძოლა ,,ჰეზბოლას“ წინააღმდეგ, რომელიც გახლდათ შეიარაღებული კონფლიქტი სახელმწიფოსა და არასახელმწიფოებრივ აქტორს შორის, სადაც თავად ლიბანის მოსახლეობაც იყო ჩართული, მიუხედავად იმისა რომ აღნიშნულ ომს მშვიდობიანი მოსასახლეობა შეეწირა. საერთაშორისო სასამართლომ ,,ჰეზბოლა“ ომის დამნაშავედ სცნო, რადგან მათ მიერ გამოყენებულ სამხედრო შეიარაღებას და მძიმე საბრძოლო ტექნიკას მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი განადგურება მოჰყვა. აღნიშნული ომის მაგალითი ნათლად გვიჩვენებს ასიმეტრიული საფრთხეების შესაძლო სიძლიერეს და ამ საფრთხეების თავიდან ვერ აცილების შემთხვევაში შედეგების მკაფიო სურათს. ასევე არ უნდა დავივიწყოტ ის ფაქტი, რომ არსებობს სახელმწიფოები, რომლებიც მიზანმიმართულად ეხმარებიან: ამბოხებულებს, ტერორისტულ ორგანიზაციებს და თვითგამოცხადებულ სახელმწიფობს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ,,ჰეზბოლას“ მთავარ დამხმარეს ირანი წარმოადგენდა. ასიმეტრიული სამხედრო საფრთხის, როგორც ასიმეტრიული ომის უკეთ შესწავლისათვის აუცილებელია გავიგოთ თუ რა ფაქტორებმა განაპირობა იმ შედეგების გამოწვევა, რომელიც საფრთხეს უქმნის საერთაშორისო უსაფრთხოებას. ომისა და სტრატეგიული კვლევების დისკუსიებში, კერძოდ ,,მომავლის“ უსაფრთხოების შენარჩუნებაში ასიმეტრიულ ომს ცენტრალური ადგილი უჭირავს, რადგან სწორედ ასიმეტრიული ომი წარმოადგენს XXI საუკუნის მნიშვნელოვან გამოწვევას, რადგან ასიმეტრიული ომი თავისთავშივე აერთიანბს საფრთხეების ისეთ ფორმებს როგორიც: ასიმეტრიული სამხედრო საფრთხე და ახალი ტერორიზმია. თუ ასიმეტრიულ ომს განვიხილავთ იმ პერსპექტივიდან, რაც გამომიდინარეობდა XX საუკინის ისტორიული ფაქტებიდან განსაკუთრებით კი სიმეტრიული წესრიგის რღვევის შედეგად, მეტი აქტორების გაჩენამ პოლიტიკურ რუკაზე, ინტერნაციონალური და ტრანსნაციონალური უსაფრთხოების შემქმნელი აქტორების ჩამოყალიბებამ, ასევე პოლიტიკურ-სტრატეგიული აქტორების გაერთიანებამ გლობალური უსაფრთხოებისათვის და ომის კომპლექსურობამ, რომელშიც მონაწილეობენ რეგიონალური სახელმწიფო ჯარები, ასევე პარტიზანული

დაჯგუფებები, ტერორისტული ორგანიზაციები, მეკობრეები და დაქირავებული დაჯგუფებები. გადამწყვეტი ფაქტორი აიმეტრიული სამხედრო საფრთხისა და ასიმეტრიული ომის გახლავთ, მისი სოციალიზაციის ის ფორმა, სადაც არ არსებობს რაიმე რეგულირების მექნიზმი და მისთვის დამახასიათებელ ფორმას არაპირდაპირი, არარეგულირებადი და არატრადიციული სტრატეგია წარმოადგენს, რომელიც საშუალებას აძლევს ასიმეტრიულ სამხედრო საფრთხეს, როგორც ასიმეტრიულ ომს ან ასიმეტრიულ კონფლიქტებს დაპირისპირების ან საფრთხის არსებობის პერიოდში არ გამოიკვეთოს ძლიერი მხარე/აქტორი, რადგან ასიმეტრიული ბრძოლის სტრატეგია თავისთავშივე გამორიცხავს ომის სიმეტრიულობას, რომელშიაც მკვეთრად იკვეთება ერთი ძლიერი აქტორი მაგ: ,,ცივი ომის" პერიოდი. თანამედროვე სამყაროში ასიმეტრიული სამხედრო საფრთხე და მისი გამომწვევი მიზეზები მიიჩნევა თანამედროვე უსაფრთხოების შენარჩუნებისათვის მთავარ გამოწვევად. საფრთხეების გამომწვევ მიზეზს წარმოადგენს პოლიტიკური ძალის მქონე საზოგადოება და მათი რეგულარული ჯარები, რომლები გაბნეულია სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში, სადაც საკუთარი სამართლებრივნორმატიული სტრატეგიები გააჩნიათ და გარკვეულწილად საფრთეს უქმნის მის განვითარებას. აქ კი მკვეთრად იკვეთბა ის გარემოება, რომ შეიძლება ესა თუ ის ქვეყანა ნებით თუ უნებლიეთ ჩართული იქნას ასიმეტრიული სამხედრო საფრთხის და ასიმეტრული ომის აქტორებად. საფრთხეების გამომწვევი მიზეზების საფუძველზე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ასიმეტრიული სამხედრო საფრთხის, როგოც ასიმეტრიული ომის შემდეგი მახასიათებლები(ბესელია მ. ,,ნატოს სტრატეგიული კონცეფცია და ასიმეტრიული სამხედრო საფრთხეები: (ახალი ტერორიზმის ფენომენი და მასთან ბრძოლის სტრატეგიები". კსუ-ს სამაგისტრო ნაშრომი. თბილისი-2018. გვ. 24-27.)

:

- ომის ,,პრივატიზირება" არასახლმწიფოებრივი აქტორების მიერ (მაგ: დაქირავებული ჯარები, ტერორისტული ორგანიზაციები, მეკობრეები, პარტიზანული დაჯგიფებები).

- ომის არასიმეტრიულობა აქტორებს შორის ტექნიკური და ფინანსური საშუალებების.

- მაღალი დონის ოპერაციების წარმართვა მოწინააღმდეგე აქტორების მხრიდან, განსაკუთრებით კარგად გაწვრთნილი დაქირავებული რაზმების თუ დაჯგუფებების მიერ, რომლებიც მოტივირებულნი არიან მაქსიმალურად მოკლე დროში შედეგების მიღწევაზე.

- უსამართლო ომი, რომელიც მიმართულია უშუალოდ მშვიდობიან მოქალაქეების მთავარი უფლების ,,სიცოცხლის" უფლების წინააღმდეგ.

- დამახასიათებელია: ჩრდილოვანი ეკონომიკა, ფარული თუ ღია სახელმწიფო მფარველები, იარაღით, ნარკოტიკით და ენერგო რესურსებით ვაჭრობა.

- დამახასიათებელია: თვითმკვლელი მებრძოლები და არასრულწლოვანთა საბრძოლო რაზმები.

- სოციალური მედიის წარმატებით გამოყენება მაგ: ვიდეო შეტყობინებების გაგზავნა და ,,ტერორის" დათესვა მშვიდობიან მოსახლეობაში(ბესელია მ. ,,ნატოს სტრატეგიული კონცეფცია და ასიმეტრიული სამხედრო საფრთხეები: ახალი ტერორიზმის ფენომენი და მასთან ბრძოლის სტრატეგიები". კსუ-ს სამაგისტრო ნაშრომი. თბილისი-2018. გვ.27.)

ზემოთ აღნიშნული მახასიათებლების საფუძველზე მნიშვნელოვანია განვიხილოთ იმ აქტორთა ტიპები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ასიმეტრიული სამხედრო საფრთხეების შექმნაში ან წინააღმდეგობას უწევენ საფრთხეების შექმნას. აქ გამოიყოფა სამი ტიპის სახელმწიფოები: I. პოსტთანამედროვე სახელმწიფოები, რომლებსაც ახასიათებს სუვერენიტეტის გაგება მულტინაციონალურ ჭრილში, მაგ: ევროკავშირის ქვეყნები (Aus Politik und Zeitgeschichte, ,,Terrorismus", Berlin, 2016 Jahr.) II. თანამედროვე სახემლმწიფოები, რომლებიც მყარად ინარჩუნებენ თავიანთ სუვერენიტეტს, მაგ: აშშ, ჩინეთი, რუსეთი, ბრაზილია ა.შ. III. პრეთანამედროვე სახელმწიფოები, რომლებსაც დამარცხების ან ინტერვენციის

საფუძველზე დაკარგული აქვთ თავიანთი სუვერენიტეტი, მაგ: ახლო აღმოსავლეთი, ცენტრალური აზია, სამხ.აფრიკის ქვეყნები(ბესელია მ. ,,ნატოს სტრატეგიული კონცეფცია და ასიმეტრიული სამხედრო საფრთხეები: ახალი ტერორიზმის ფენომენი და მასთან ბრძოლის სტრატეგიები“. კსუ-ს სამაგისტრო ნაშრომი. თბილისი-2018. გვ.27-28)

აქვე უნდა ავღნიშნოთ ასევე, თუ რა სახით ახდენს ჩარევას სახელმწიფოებრივი თუ არასახელმწიფოებრივი აქტორები ასიმეტრიული სამხედრო საფრთხის, ასიმეტრიული ომი/კონფლიქტის წარმოებისას. სახელმწიფო აქტორები იყენებენ: სახელმწიფო ჯარებს, პოლიციას, საიდუმლო სადაზვერვო სამსახურებს, ინტერნაციონალურ სამხედრო ჯარებს, (მაგ: გაერო, ნატო, აშშ, რუსეთი). არასახელმწიფოებრივი აქტორები იყენებენ: სეპარატისტულ დაჯგუფებებს, ტერორისტულ ორგანიზაციებს, მეკობრეებს, დაქირავებულ მებრძოლ რაზმებს. როგორც, დავინახეთ არსებობს ასიმეტრიული საფრთხის გამომწვევი მიზეზები, მისი მახასიათებლები და აგრეთვე მასში მოქმედი აქტორების სხვადასხვა ტიპები. სწორედ აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებობს მხოლოდ საფრთხის გამომწვევი მიზეზები და ფაქტობრივად არ არსებობს საფრთხის აღმოფხვრის არა თუ უმოკლესი, არამედ არც მისი ეფექტურად აღმოფხვდის გზები. თუ კლასიკურ ასიმეტრიულ ომში კლაუზევიცის მიხედვით ომი არის ,,საშუალება“ და მიზანი მიიღწევა ომის საშუალებით, აქ ასიმეტრიული სამხედრო საფრთხის შემცველი ,,ტერორი“ ომის სახით გვევილინება. ერთიანდება თუ არა ახალი ტერორიზმი, ასიმეტრიული სამხედრო საფრთხე და ასიმეტრიული ომის ფორმები ერთ ასიმეტრიული ომის ფენომენში?! ამ კითხვაზე პასუხი ცალსახაა, სამივე ეს ფორმა ერთმანეთის სინთეზს წარმოადგენს და ერთმნიშვნელოვნად ერთიანდება ასიმეტრიული ომის ფენომენის სახით. ასიმეტრიული სამხედრო საფრთხე, როგორც ასიმეტრული ომი შგვიძლია განვიხილოთ ისლამური სახელმწიფოს (IS) წინააღმდეგ გამართული კამპანიის ფარგელებში. ისლამური სახელმწიფო ასიმეტრიულ სამხედრო საფრთხეებს ქმნიდა არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალზე, არამედ ევროპისა და აშშ-ის ქალაქებშიც, რადგან ტერორისტულმა ორგანიზაციებმა და ასევე

ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებმა წარმატებით აითვისეს ასიმეტრიული ომის თავისებურებანი, რაშიდაც მინიშვნელოვან რომლს თამაშობს არაცენტრალიზებული ჯიჰადის კონცეფცია, რომლიც ითვალისწინებს ტერორისტული აქტების მოწყობას სხვადასხვა ტერორისტული ორგანიზაციების მიერ, რომლის წინასწარ განსჭვრეტა რთულია (ამაზე მეტყველებს ტერორისტული აქტების მზარდი ხასიათი) და მაქსიმალური მასშტაბურობით გამოირჩევა. უნდა ავღნიშნოთ, რომ ერთიანი მუსლიმანური სახელმწიფოს შექმნის მიზანი, როგორც სულიერებისათვის მებრძოლის როლის მსოფლიოში, გახლავთ საუკუნეების წინანდელი და დღესაც აქტუალურ მისწრაფებაად რჩება ჯიჰადისტებისათვის. ისლამური სახელმწიფოს მეთაურმა აბუ ბაქრ ალ-ბაგდადმა ისლამური სახელმწიფოს ,,შექმნით“ და კონკრეტული შედეგის მიღებით, ნიადაგი მოუმაზადა ამ უტოპიური მისწრაფებისაკენ მიმავალ გზას. აქ გარკვეული სტრატეგიული მდგომარეობისთვის ტერორისტულ ორგანიზაციებს ჰქონდათ ორი მნიშვნელოვანი დასაყრდენი: ერთი ის, რომ ისლამურ სახელმწიფოს ჰქონდა ზუსტი რეგიონალური მიმართება და იდგა ტერიტორიული არსებობის საჭიროების წინაშე, რადგან ხალიფატი გახლდათ სახელმწიფო და სახელმწიფოს სჭირდება ტერიტორია, რომელიც გადიოდა ყველა მუსლიმანის დეფაქტო სახელმწიფო ირანისა და სირიის სივრცეში. მეორე დასაყრდენი კი გახლდათ საბრძოლო ადგილი, რომელიც როგორც ბრძოლოს ველს, ასევე ისლამური სახელმწიფოს აქტუალურ ტერიტორიას წარმოადგენდა და კარგად გათვლილი ასიმეტრიული ომის სტრატეგიის საფუძველზე შესძლო სირიის დიდი ქალაქების აღება და დამორჩილება გარკვეული დროის მანძილზე. ახალი ტერორიზმი, როგორც ერთერთ ფორმა ასიმეტრიული ომის კარგად გამოჩნდა ისლამური სახელმწიფოს მაგალითზე, ბრძოლის წინააღმდეგობრივი ხასიათიდან გამომდინარე, აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ომის ასიმეტრიულობა ანუ დაპირისპირებულ აქტანტების ბრძოლის საშუალებები და შესაძლებლობა მკაფიოდ იყო გამოხატული და თუ ერთ მხარეს იდგა ისლამური სახელწიფოს ხმელეთზე მებრძოლი სეპარატისტული თუ ტერორისტული დაჯგუფებები, მეორე მხარეს გახლავთ აქტანტების ის კატეგორია, რომელიც არა ხმელეზე არამედ საჰაერო სამხედრო ბრძოლის ტაქტიკას მიმართავს,

რაც მათ ძლიერ საშუალებებსა და შესაძლებლობებზე მიუთითებს. მიუხედავად ასეთი დიდი სხვაობისა ასიმეტრიული ომის სტრატეგიის მთავარ საყრდენს მისი ოპერატიულ-ტაქტიკურ დონეზე შემუშავებული სტრატეგია განსაზღვრავს, რომელიც გულისხმობს მოწინააღმდეგის შედარებით სუსტი ადგილის/მხარის აღმოჩენას და მის მაქიმალურად, შდეგიდანად გამოყენებას (,,დავითისა და გოლიათი ფენომენი''). აქედან გამომდინარე შგვიძლია ვთქვათ, რომ ასიმეტრიული ბრძოლის სტრატეგიის შემუშავებაზეა დამოკიდებული ომის ხანგრძლივობა. უკვე 18 წელი გავიდა, მსოფლიოს ყველაზე მასშტაბური ტერორისტული აქტის 2001წლის 9/11 ტერაქტის შემდეგ. სწორედ აღნიშნული ტერაქტი გახლდათ საფუძველი სახელმწიფოთა მიერ ასიმეტრიული საფრთხეების აღმოჩენისა, რასაც მკვეთრად გამოხატული ასიმეტრიული სამხედრო საფრთხეები გააჩნდა, რომელიც პირველ რიგში ,,ახალი ტერორიზმის“ სახით მოგვევლინა. აღნიშნულ საფრთხეებს მსოფლიოს სახელმწიფოებმა საერთაშორიო ტერორიზმის წინააღმდეგ ომის გამოცხადებით უპასუხა, რომელიც ითვალისწინებდა მძიმე სამხედრო ძალების ჩართულობას, მათი განადგურების მიზნით. ასიმეტრიული სამხედრო საფრთხე, როგორც ასიმეტრიული ომი ეწინააღმდეგება იმ უმნიშვნელოვანეს ღირებულებებს, როგორიცაა სუვერენიტეტის დაცვა და ადამიანის სყოველთაოდ უფლებები, ეს კი წინააღმდეგობაში მოდის გაერთიანებული ერების (გაეროს) წესდების ქარტის - I თავის 1, 2, მუხლებთან და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 1, 2, მუხლებთან. უკვე ფაქტია, რომ ახალი ტერორიზმი, როგორც ასიმეტრიული სამხედრო საფრთხე და ასიმეტრიული ომი დროში მიმდინარე პროცესია და კლასიკური, სიმეტრიული საფრთხეების მსგავსად აღკვეთას არ ექვემდებარება და მუდმივი ბრძოლის რეჟიმში მიმდინარეობს (ბესელია მ. ,,ნატოს სტრატეგიული კონცეფცია და ასიმეტრიული სამხედრო საფრთხეები: ახალი ტერორიზმის ფენომენი და მასთან ბრძოლის სტრატეგიები“. კსუ-ს სამაგისტრო ნაშრომი. თბილისი-2018. გვ. 28-31.)

1.2. ტერორისტული ორგანიზაციების მიზნები და ამოცანები

ტერორისტული ოგნაიზაციების მიზნების მრავალფეროვანი ჩამონათვალი არსებობს,მათგან უმთავრესია **გადარჩენა** შემდგომში მოდის ფინანსური სარგებელი, გავლენის გავრცელება, ტერიტორიული პრეტენზიები, მომხრეთა ციხიდან გათავისუფლების მოთხოვნა,კონკრეტული ტერიტორიებიდან უცხო ქვეყნის სამხედრო ნაწილების გაყვანა და ა.შ ამ ყოველივეს მიღწევას ტერორისტული ორგანიზაციები ცდილობენ შისის დათსვით,ხოდლო სისის დასათსად არსებობს მრავალი ფორმა რომელთა უმეტესობასაც ყველა ტერორისტული ორგანიზაცია იყენებს.

არსებობს მრავალი დამახასიათებელი ნიშანი რომელიც უნივერსალურია თანამედროვე ტერორისტული ორგანიზაციებისა თუ ჯგუფებისათვის, ესენია:

- ძახადობა როგორც სამიზნე ობიექტზე ზემოქმედების ინსტრუმენტი(აფეთქებების მოწყობა, მკვლელობები, შეიარაღებული თავდასხმები,გატაცებები)
- სამიზნისა და დროის ისე შერჩევა რომ მას მოყვეს დიდი გამოხმაურება, მაქსიმალურად რეზონანსული ახალი ამბავი რომელსაც გაიგებს მშვიდობიან მოქალაქეთა უდიდესი რაოდენობა.უმეტესწილათ ტერორისტული ატები ხორციელდება საჯარო სივრცეებში, ცნობულ ტურისტულ ობიექტებზე ან საელჩოებზე. ტერორისტთა სამიზნე სიბოლური ხასიათისაა მათთვის მთავარია არა კონკრეტული პირის ლიკვიდაცია არამედ ტერორისტული აქტის შემდგომი რეზონანსი.
- თანამედროვე ტექნოლოგიების მაღალი განვითარება საშუალებას აძლევთ ტერორისტებს რომ მოახდინონ ტერორისტული აქტი ისე, რომ მათი იდენტიფიცირება ვერ მოხდეს ან ძალიან გაძნელდეს.მაგალითად დისტანციური ან სინქრონული ასაფეთქებელი მოწყობილობები რომელიც შესაძლებელია აქტის

ადგილას იქნას დატოვებული დიდი ხნით ადრე რაც აღნიშნული იარაღის აღმოჩენას ართულებს.

- ტერორისტული აქტების სიაში ვხვდებით ადამიანთა საჯარო მკვლელობებს ან გატაცებებს რაც თავისთავად დიდი რეზონანსს იწვევს საზოგადოებაში.
- ტერორისტები აქტიურად იყენებებნ მოულოდნელობის ეფექტს, რაც კარგად დაცულ ობიექტებთან მიმართებაშიც კი ზრდის მათი წარმატების შანსებს.
- მუქარა-იმ შემთხვევაში როდესაც ტერორისტებმა შეძლეს და მოახდინეს თუნდაც მცირე თავდასხმა ან აფეთქება, ისინი იყენებენ მუქარას რაც წარმოადგენს მხოლოდ მოქალაქეთა მოლოდინს რომ მსგავსი ან გაცილებით დიდი მასშტაბის ტერორისტული აქტი განმეორდება, მუქარა სრულიად საკმარისია იმისათვის რომ მოსახლეობაში აგორდეს შიშის შეგრძნება და სახელმწიფოში გაჩნდეს დესტაბილიზაციის საფრთხე.
- შეტევის ადგილის შერჩევა ისე რომ დაღუპულთა და დაშავებულთა შორის იყოს დიდი რაოდენობით ქალები და ბავშვები. მასობრივი საშუალებებით ხდება დაღუპულ და დაშავებულ ბავშვთა და ქალთა კადრების გავრცელება,მსგავს ინფორმაციებს უმრავლეს შემთხვევებში მოყვება მოსახლეობის შიში და აღშფოთება.
- პროპაგანდის გამოყენება- ტერორისტულ ორგანიზაციებს სურთ რომ თავიანთი თავი წარმოადგინონ როგორც ანგარიშგასაწევი ძალა, ამიტომ ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ ტერორისტულ აქტს მნიშვნელობა არ ექნება თუ არ მოჰყვა გამოხმაურება.ეკონომიკური თვალსაზრისით დაჯგუფებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს , იმისათვის რომ ტერორიზმის მხარდამჭერ ქვეყნებს და ინდივიდუალურ პირებს შემდგომი დაფინანსების სურვილი გაუჩინონ. (დ.სუჯაშვილი „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ. გვ. 19-22.)

1.3 ტერორისტული ორგანიზაციების კლასიფიკაცია იდეოლოგიის მიხედვით, ტერორისტული აქტის ფორმები.

ტერორიზმს და ტერორისტულ საქმიანობას, მოქმედებათა იმდენად ფართო სპექტრი გააჩნია რომ ძნელია მისი ერთ ჩარჩოში მოქცევა, სწორედ ამ მიზეზის გამო თანამედროვე მსოფლიოში ტერორიზმის ერთ საერთო დეფინიციასაც კი ვერ შევხვდებით.მაგრამ არსებობს კრიტერიუმები რომლის მიხედვითაც შეიძლება ტერორისტული ორგანიზაციების ან/და ტერორისტული აქტების კლასიფიცირება ,თანამედროვე ტერორიზმი შეიძლება ორ კატეგორიად დავყოთ:

- ლოკალური ტერორიზმი მოიცავს ტერორისტულ საქმიანობას ლოკალური მასშტაბით , სეპატარისტული მოძრაობების მხრიდან ლეგიტიმური ხელუსუფლების წინააღმდეგ ტერორიზმის გამოყენება.
- საერთაშორისო ტერორიზმი-ტერორიზმის სახეობა რომელიც საფრთხეს უქმნის მთელს მსოფლიოს (დ.სუჯაშვილი „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ.გვ 22)

ლოკალური ტერორიზმი სხვადასხვა სახით გვხვდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.ძირითადად ლოკალური ტერორი ხორციელდება ეთნიკური ნიშნით.ნაციონალურ უმცირესობათა ჯგუფები, რომლებიც ცდილობენ თავიანთ ისტორიულ ტერიტორიაზე მოიპოვონ ან გააფართოვონ ავტონომია.ასეთი სახის ტერორიზმი ორიენტირებულია მემარჯვენე ან მემარცხენე იდეოლოგიაზე, იმის მიხედვით თუ რა პოლიტიკურ-სოციალური მდგომარეობაა არსებულ მომენტში. მემარცხენე იდეოლოგიის მქონე ტერორისტული ორგანიზაციები ძირითადად სამიზნედ ირჩევენ მაღალ თანამდებობის მქონე პირებს, რასაც ამართლებენ რევოლუციური იდეით.ხოლო მემარჯვენე იდეოლოგიის ტერორისტებისთვის მსგავსი ორგანიზაციები შედარებით დიდხანს არსებობენ.(დ.სუჯაშვილი „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“თბილისი 2018წ. გვ 23-24.)

„ნაციონალური ტერორიზმის ერთ-ერთი გამორჩეული ფორმაა პალესტინური ტერორიზმი.ყველა პალესტინური დაჯგუფება უმთავრეს მიზნად ისახავს პალესტინის ტერიტორიაზე დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფოს შექმნას, პალესტინელ არაბთა ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის ავტომატურად ნიშნავს ბრძოლას ისრაელის წინააღმდეგ რადგან აღნიშნულ ტერიტორიაზე 1948 წლიდან არსებობს ებრაელთა სახელმწიფო ისრაელი“(დ.სუჯაშვილი „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ. გვ. 24-25.)

გლობალიზაციის პროცესის პარალელურად ტერორიზმმაც გლობალური სახე მიიღო, საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების სამიზნეს წარმოადგენენ ქვეყნები თავიანთი პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემებით და ამ სისტემებისგან შემდგარი საერთაშორისო ორგანიზაციები.საერთაშორისო ტერორიზმის პირობებში, ტერორისტული ორგანიზაციები მიმართავენ როგორც ტრადიციულ მეთოდებს (აფეთქება, გატაცება, დაშინება) ასევე მუქარას რომ გამოიყენებენ მასობრივი განადგურების იარაღსაც (ბირთვული, ქიმირი და ბიოლოგიური) .

ტერორისმის საფუძველი სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წინააღმდეგობრივ და განსხვავებულ ხასიათში მდგომარეობს, სწორედ ამიტომ ხდება ტერორიზმის განხორციელება სხვადასხვა ფორმით და მას მრავალი სახე აქვს.ტერორიზმის სახეებს შორის კავშირი მიზნის მისაღწევად განხორციელებულ მოქმედებებში გამოიხატება.სხვადასხვა სამეცნიერო ჯგუფები თუ კონკრეტული მეცნიერები ტერორისტულ ჯგუფებს ყოფენ განსხვავებული კლასიფიკაციის იხევით.

მეცნიერები გვთავაზობენ ტერორისტული ორგანიზაციების რამოდენიმე იდეურ სახეს როგორებიცაა:

- იდეოლოგიური ტერორიზმი - შეიძლება წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა პოლიტიკური იდეოლოგიით. თავდაპირველად რადიკალური იდეოლოგია გროვდება, ხოლო შემდგომ, როდესაც მისი რეალიზების სხვა გზა არ რჩება ხდება მისი ტერორისტული სახის გამოვლინება.

- ეთნიკური ტერორიზმი - მრავალ შემთხვევაში გადაიზრდება რასობრივ ტერორიზმში, მას ძირითადად მიმართავენ დაჩაგრული ერები, ეთნიკური ჯგუფები და ის გაერთიანებები რომელიც არ აღიარებს სახელმწიფოს სამართალს და მიისწრაფვის თვითგამორკვევისაკენ.
- რელიგიური ტერორიზმი - სხვადასხვა რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელთა მხრიდან შესაძლოა ადგილი ჰქოდეს ტერორისტული აქტის მწყობას, რომელიც განპირობებულია რელიგიური მოტივებით. სინამდვილეში მას რელიგიის სწავლებასთანა რანაირი კავშირი არ აქვს და აღნიშნული ტერორისტული აქტები გამოწვეულია კონკრეტული ინდივიდების მხრიდან რელიგიური სწავლების სუბიექტურ გაგებასთან. ასეთ შემთხვევებში ტერორისტები თავიანთ ქმედებებს ამართლებენ იმ მოტივიტ რომ ისინი არიან არა ტერორისტები არამედ „განმათავისუფლებლები“ რომელბიც ასრულებენ ღვთის ნებას.რელიგიური ტერორიზმის მიმდევრები ხშირად იყენებენ ძალისმიერ მეთოდებს მოსახლეობის წინააღმდეგ.

- კრიმინალური ტერორიზმი - ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფებების მიერ ჩადენილი დანაშაულები (გატაცებებს გამოსასყიდის მოთხოვნით, შეკვეთილ მკვლელობებს და ა.შ)
- ინდივიდუალური ტერორიზმი - როდესაც ცალკეული ინდივიდი აყობს ტერორისტულ აქტებს, შესაძლოა მას კავშირი ჰქონდეს ან იდეურად ეთანხმებოდეს საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებს, მაგრამ მოქმედებს ინდივიდუალურად.
- პოლიტიკური ტერორი - სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად გამოყენებული ტერორისტული საქმიანობა.
- პარტიზანული ტერორიზმი - რომლის საფუძველიც საომარი ტერორიზმია, მხოლოდ ეს მეთოდი გამოიყენება საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ , ხშირად პარტიზანული შენაერთების მოქმედებას ტერორისტული სახე აქვს.
- საჰაერო და საზღვაო ტერორიზმი - ახასიათებს განსაკუთრებული სისასტიკე და გამოირჩევიან სპეციფიკურობით. „ასეთი ტერორისტული აქტები შეიძლება

განხორციელდეს როგორც ჰაერში და ზღვაზე, ასევე ნავსადგურსა და აეროდრომზე“(დ.სუჯაშვილი „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ. გვ.27-28).

აღსანიშნავია, რომ საჰაერო ტეროტიზმის მიმართ განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იჩენს გაერო. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ წლების განმავლობაში მიღებულ იქნა არაერთი კონვენცია, რომლებიც თავის მხრივ ითვალისწინებენ სახელმწიფოების გაერთიანებულ თანამშრომლობას მსგავსი ტიპის ტერორიზმის წინააღმდეგ. საჰაერო ტეროტიზმთან დაკავშირებით გაეროს კონვენციებია:

1) კონვენცია „საჰაერო ხომალდის გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“
2) კონვენცია „სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ“

რაც შეეხება საზღვაო ტერორიზმს, 1988 წლის 10 მარტს, რომში მიღებულ იქნა კონვენცია „საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული არაკანონიერი აქტების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“. აღნიშნული კონვენცია მიმართულია იმ პირთა საწინააღმდეგოდ, რომლებიც საზღვაო ტრანსპორტზე ჩაიდენს დანაშაულს, როგორიცაა მაგალიტად ტრანსპორტის გატაცება, ტრანსპორტზე მყოფი პირების დაშინება.

ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ სანაოსნო ტერორიზმი და მეკობრეობა. ისტორიულად, ამ ტერმონით აღნიშნავდნენ არასახელმწიფოებრივი აქტორების მიერ საზღვაო თავდასხმებს.მეკობრე არის პირი , რომელიც ნებაყოფლობით ეწევა საზღვაო ყაჩაღობას, განურჩევლად ეროვნულობისა, სქესისა და აღმსარებლობისა.ზოგ შემთხვევაში მეკობრეები არიან დაინტერესებული არა ტვირთით, არამედ გემის ეკიპაჟით , რომელთა სანავლოდაც დიდი გამოსასყიდს ითხოვენ.

ტერორიზმის ყოველ იდეურ სახეს აქვს თითქმის საერთო ფორმებიი რომლითაც ახორციელებენ ტერორისტულ აქტებს.

ძირითადად გამოიხატება მოქმედების შემდეგი ფორმები :

- მკვლელობები
- ცეცხლის წაკიდება
- აფეთქება
- მძევლების აყვანა
- ადამიანის გატაცება(გამოსასყიდის მოთხოვნით)
- კომერციული ან/და ინდუსტრიული საბოტაჟი
- ცრუ განცხადებები
- ეკოლოგიური ტერორიზმი
- კიბერ ტერორიზმი-(სახელმწიფო სტრუქტურების ვებ.გვერდებზე და ეკონომიკურ სამიზნეებზე ვირტუალური შეტევა)
- საზღვაო ტერორიზმი-(საზღვაო პორტზე ან მცურავ საშუალებაზე განხორციელებული ტერორისტული აქტი)
- საჰაერო ტერორიზმი-(აეროდრომზე ან სამოქალაქო საფრენ აპარატზე განხორციელებული ტერორისტული აქტი)
- ბირთვული ტერორიზმი

„ბირთვული იარაღი ჯერ-ჯერობით ტერორისტთა ხელში არ აღმოჩენილა, ყოველ შემთხვევაში ასეთი ფაქტი არ დაფიქსირებულა,რაც შეეზება ქიმიურ და ბიოლოგიურ იარაღს, ბოლო მონაცემებით ქიმიური იარაღი გამოყენებული იყო სირიის ტერიტორიაზე „დაეშის“ მიერი,ასევე არსებობს მოსაზრება რომ აღნიშნული იარაღი სირიის მთავრობამ გამოიყენა“. (ა.გუჩუა ექსპერტი ბირთვული უსაფრთხოების სფეროში, ინერვიუ)

საერთაშორისო ტერორიზმი ფარული ომია, მაგრამ არა ისეთი ინტენსიური როგორც ჩვეულებრივი კონვენციური ომი. საერთაშორისო ტერორიზმი ხშირად დაკავშირებულია რელიგიურ ფანატიზმთან, ნაციონალურ სეპარატიზმთან და ნარკობიზნესთან. იმისათვის, რომ ორგანიზაცია ჩაითვალოს საერთაშორისო

ტერორისტული ორგანიზაციათ, საჭიროა რამოდენიმე გარემოების არსებობა, როგორებიცაა შემდეგი:

- ტერორისტული აქტების მსხვერპლს შორის არიან სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები;
- ტერორისტული აქტი ხორციელდება საერთასორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიმართ;
- ერთ ქვეყანაში დაგეგმილი ტერორისტული აქტი, ხორციელდება მეორე ქვეყანაში;
- ტერორისტული აქტის შემდეგ ტერორისტები თავს აფარებენ სხვა ქვეყანას (დ.სუჯაშვილი „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ. გვ.30-31).

შესაძლოა ერთი სახელმწიფოს მიერ ხდებოდეს ტერორისტული ჯგუფების გამოყენება მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამ დროს ტერაქტების ორგანიზატორს წარმოადგენს ის სახელმწიფორ, რომელმაც შეუკვეთა ტერაქტი, როლო ტერორისტული ჯგუფის მიზანი მხოლოდ ფინანსური სარგებელია (ხშირ შემთხვევაში იდეოლოგიურ მოტივთან ერთად).

ტერორისტულ აქტებს გააჩნიათ შემდეგი ნიშნები:

- ძალადობრივი ქმედებები ხორციელდება კონკრეტული პირის ან/და პირთა ჯგუფის მიმართ;
- ძალადობრივი ქმედებები მიმართულია მოსახლეობისა და სახელისუფლებო სტრუქტურების დაშინების ან/და საერთაშორისო ან საზოგადოებრივი გამოხმაურების გამოწვევის მიზნით;
- ტერორისტული აქტის მიზანია, კონკრეტული სახელმწიფოს ან/და ორგანიზაციის მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება (Chailand G., Blin A., The History of Terrorism from Aniquity To Al Qaeda. London: university of California Press, Ltd, 2007. გვ 8).

ტერორისტული აქტის სამიზნეზეა დამოკიდებული ტერორისტული აქტი და მასზე შემდგომი რეაგირება. იმისათვის, რომ კანონის მიხედვით დადგინდეს დანაშაულის შემადგენლობა მკაფიოდ უნდა იქნას განსაზღვრული ძალადობრივი აქტის მიზანი. დღედღეობით მრავალ ქვეყანაშია მირებული ტეროტიზმთან დაკავშირებული საკითხების დამარეგულირებული კანონები, თუმცა დამნაშავეთა დაკავებისას მაინც რიგ პრობლემებთან გვაქვს საქმე. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა ტერმინი „ტერორიზმის“ სრულყოფილი განმარტების არარსებობა, რაც ხანდახან საშუალებას აძლევს დამნაშავეებს თავიდან აიცილონ შესაბამისი სასჯელი. მაგალითად, შესაძლოა დაკავებულმა განაცხადოს, რომ იგი სახელმწიფოს მხრიდან იდევნება პოლიტიკური და/ან რელიგიური მოტივებით, ხოლო მათ მიმართ წაყენებული ბრალდებები არ შეესაბამება სიმართლეს (დ.სუჯაშვილი „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ. გვ.31-32.).

იმისათვის, რომ სწორად გავიგოთ თუ რა არის ტერორიზმი საჭიროა განვიხილოთ ის ნიშნები, რომელთა ერთობლიობაც აუცილებელია ტერორისტული აქტის მისაღებად. ესენია შემდეგი:

- **ტერორისტები** - ჯგუფი, რომლებიც გეგმავს, მონაწილეობს და ახორციელებს ტერორისტულ აქტს, რომელიმე დაჯგუფების სახელით ან რაიმე მოტივაციის გამო. „ტერორისტად ადამიანები არ იბადებიან, ტერორისტებად შემდეგ ყალიბდებიან რომელსაც აქვს თავისი სტადიები.ეს არის რადიკალიზაციის პროცესი, სამი ძირითადი ფაზისგან შედგება, რომლებიცაა: I მტრის ხატის შექმნა, როდესაც ადამიანი ემხრობა კონკრეტულ იდეოლოგიას. II ფაზაა გაღვივება, ანუ როდესაც ადამიანი იწყებს კავშირს ორგანიზაციასთან, ან თუ მარტოა იწყებს მზადებას. III მესამე ფაზაა შეჯახება- როდესაც ადამიანი გადადის მოქმედებაზე, არ აქვს მნიშვნელობა რა ფორმით იქნება ეს“ (გერმანე გვარამია, ექსპერტი უსაფრთხოების სფეროში);
- **მხარდაჭერები** - ცალკეული პირები, პირთა ჯგუფები, ორგანიზებული დაჯგუფებები, სახელმწიფო ორგანოები და შესაძლოა ქვეყნის მთავრობებიც კი. არსებობენ

ტერორისტთა აქტიური და პასიური მხარდამჭერები. პასიური მხარდაჭერაა იდეური სიმპატიის გამოხატვა. აქტიური მხარდაჭერა გულისხმობს, პირის ან პირთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ტერორისტული საქმიანობის დაფინანსებას, იარაღითა და ტექნიკურ ტაქტიკური საშუალებებით მომარაგებას,წვრთნის უზრუნველყოფას,და უსაფრთხო თავშესაფრის მიცემას (დ.სუჯაშვილი „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ. გვ.32);

- **ტერორისტთა მსხვერპლი** - ეს შეიძლება იყოს როგორც ცალკეული პირი, პირთა ჯგუფი, ასევე მთლიანად რასა, ეთნიკური ჯგუფი ან ერი. ადამიანებს, რომლებიც დაზარალდნენ ტერორისთთა მოქმედების შედეგად „ტერორიზმის მსხვერპლი“ ეწოდებათ (დ.სუჯაშვილი „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ. გვ.32);

მიუხედავად იმისა, რომ ტერორისტული ორგანიზაციის ინტერესები და მიზნები ერთმანეთისგან განსხვავებულია, მათ მაინც გააჩნიათ გარკვეული საერთო ფაქტორები, როგორებიცაა რადიკალიზმი, ექსტრემიზმი, ფანატიზმი და ფუნდამენტალიზმი (დ.სუჯაშვილი „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ. გვ.33).

რადიკალიზმი გულისხმობს გადამჭრელი ზომების მიღებას სხავდასხვა თეორიული თუ პარაქტიკული საკითხების გადასაწყვეტად. ეს შეიძლება გულისხმობდეს ძირეული პოლიტიკური რეფორმების გატარებასაც. ტერმინი „რადიკალიზმით“ ხშირად რეფორმატულ მოქმედებებს აღნიშნავდნენ. რადიკალისტური ჯგუფებისათვის დამახასიათებელია ისეთი ქმედებები, რომლებიც გავლენას მოახდენს ქვეყნის გავლენიან ინსტიტუტებზე, რათა მოახდინონ ისეთი პოლიტიკური ცვლილებები, რომლებიც მათთვის ხელსაყრელი იქნება (Mc Laughlin P.Radicalism:A Pilosophical Study.New-York : Palgrave Macmilan.2012 gv.6-9).

ექსტრემიზმი გულისხმობს უკიდურესი შეხედულებებისა და განსაკუთრებული, მათ შორის პოლიტიკური, ზომების გატარებას. საზოგადოებაში ექსტრემიზმის აღმოცენება და განვითარება შეიძლებოა მოხდეს სხვადასხვა ფაქტორების ფონზე, როგორებიცაა

სოციო-ეკონომიკური კრიზისი, ცხოვრების დაბალი დონე, სახელისუფლებო სტრუქტურების პარალიზება, ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმი, ოპოზიციური აზრის დევნა და ა.შ. ექტრემისტები ყოველთვის უარყოფენ განსხვავებულ აზრსა და შეხედულებებს, შესაბამისად მსგავსი ორგანიზაციები ისეთ თანამოაზრეებს იკრებენ გარშემო, რომელთაც დაუფიქრებლად შეეძლებათ ნებისმიერი ბრძანების შესრულება. ისინი ძირითადად არალეგალური გზებით ცდილობენ თავიანთი მიზნების მიღწევას. ისტორიულად ექსტრემისტები ზოგჯერ გმირებადაც კი ითვლებოდნენ გარკვეული ჯგუფებისათვის. თანამედროვეობაში ექსტრემისტული ჯგუფები ხშირად გარდაიქმნებიან ისეთ ძლიერ და გავლენიან სტრუქტურებად, რომლებიც საერთაშორისო რეზონანსის, მოსახლეობის დაშინებისა და მსგავსი ქმედებებისკენ მიისწრაფვიან (დ.სუჯაშვილი „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ. გვ.33-34).

ფანატიზმი მასის ფსიქოლოგიის განსაკუთრებული ფენომენია. ფანატიკოსები ყოველთვის თავიანთი მოსაზრებების, შეხედულებებისა და იდეების ერთგულნი არიან. უფრო მეტიც, მუდამ მზად არიან მათთვის საკუთარი თავი მსხვერპლადაც კი გაიღონ. ფანატიკოსების მიერ ერთმანეთისადმი გამოხატული მხარდაჭერა ხშირად ემოციური ხასიათისაა. მათთვის მიუღებელია კონსტრუქციული კრიტიკაც კი და ყველაფერს საკუთარი შეხედულებებისა და ხედვების ჭრილში აღიქვამენ. ფსიქოლოგიურად ფანატიკოსები უმეტესად რადიკალიზმისა და ექსტრემიზმის იდეებს ეყრდნობიან, ამიტომ ფანატიზმი ხშირად ტერორიზმის საფუძველია. ფანატიკოსები ჩადენილი ძალადობრივ ქმედებების მეშვეობით ცდილობენ თავიანთი იდეების გავრცელებას. აღსანიშნავია, რომ მოქმედი ტერორისტთა უმრავლესობა სწორედ ფანატიკოსია და არ ითვალისწინებენ არსებულ იურიდიულ, ეთიკურ და მორალურ ნორმებს. ფანატიზმი შეიძლება იყოს მრავალგვარი, მაგალითად რელიგიური, იდეური, პოლიტიკური, პატრიოტული შინაარსის და სხვა (Laqueur

W.The New Terrorism: Fanaticism and the Arms of Mass Destruction.New-York : Oxford University Press.2000წ.).

ტერორისტის ფსიქოლოგია

ფსიქოლოგებისა და მეცნიერებისათვის ტერორისტთა ფსიქოლოგია მრავალი წლის განმავლობაში წარმოადგენდა საინტერესო საკვლევ საგანს. ცდილობნენ შეესწავლათ მათი ფსიქოლოგია, აზროვნება, ქცევები, მოტივები და ამ ყოველივეზე დაყრდნობით გაეანალიზებინათ თუ რა უბიძგებდა კონკრეტულ ინდივიდუალურ პირებს ტერორიზმისაკენ. სამწუხაროდ მსგავსი კვლევები არც თუ მრავლადაა, რადგან ეს დაკავშირებულია რიგ სირთულეებთან. თუნდაც იმ ფაქტთან, რომ ტერორისტებთან უშუალო კონტაქტის დამყარება მკვლევართა, მეცნიერებისა თუ ფსიქოლოგებისათვის არც თუ ისე მარტივი მისაღწევია. პატიმრობაში მყოფი ტერორისტები ხშირად თავს არიდენებ ზედმეტ შეხვედრებს და უნდობლობით გამოირჩევიან, რაც მათ გულწრფელობაზეც აისახება. მეცნიერთა აზრი ტერორისტთა ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ იყოფა, ერთნი მიიჩნევენ რომ ტერორისტი არის ფსიქოლოგიურად დაავადებული ადამიანი ხოლო მეორენი მათ ფანატიკოსებად თვლიან. უოლტერ ლაქერისათვის ,,ტეორისტები არიან ფანატიკოსები და ეს ხშირად გადასდით სისატიკესა და სადიზმში“ (დ.სუჯაშვილი „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ. გვ.167.).

მაქველ ტეილორმა აღნიშნა, რომ ტერორისტები ფსიქიკურად დაავაებულთა რიგებში ჩაწერა ხელს უწყობს მათი ქმედებების გამართლებას. ტერორისტის ფსიქიატრიულად დაავადებულთა რიგში განთავსება მათ ავტომატურად კანონის მიღმა ათავსებს. ის განიხილავს ბევრ განსხვავებას რომელიც ფსიქოპატსა და ტერორისტს შორის არსებობს. ერთი განსხვავება ისაა ფსიქოპატს არ აქვს უნარი ისარგებლოს ძველი გამოცდილებით, ფსიქოპატს არ აქვს რაიმე მიზანი და მათი მოქმედება სუბიექტურია,

ასევე ფსიქოპატები ძალიან არასაიმედონი არიან იმისათვის, რომ ტერორისტული ჯგუფების ინფორმაციები გაანდონ.

ტერორისტული ჯგუფები ახალ წევრების შერჩევის შედეგად ირჩევენ. კანდიდატების შერჩევისას ყურადღება ექცევა მათ ფსიქოლოგიურ მდგომარეობასაც, რადგან პატარა ხარვეზმაც კი შეიძლება ტერორისტული აქტი ან რაიმე აქტივობა ჩაშალოს ან მათთვის უარეს შემთხვევაში გაავრცელოს ფარული ინფორმაცია. ამიტომ ახალწვეული არ უნდა იყოს არაპროგნოზირებადი, არ უნდა აღენიშნებოდეს უკონტროლო ქცევები ან პიროვნული თვისებების ნაკლებობა.

არაერთამა მკვლევარმა აღნიშნა ის ფაქტი, რომ ტერორიეტებს გააჩნიათ დეპრესიული მიდრეკილებები, მაგალითად: სახის გამომეტყველება, ჩაცმულობ, ქცევები. ფსიქოლოგების ნაწილი მიიჩნევს, რომ ტერორისტთა უმრავლესობა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით სრულიად ჯანმრთელია (დ.სუჯაშვილი „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ. გვ.169.).

თვითმკვლელი ტერორისტები

საყურადღებოა, რომ ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრიანებული ადამიანები იშვიათად თუ ახერხებენ თავიანთ ძველ, ნორმალურ ცხოვრებასთან დაბრუნებას. ამ ყველაფრის ფონზე ჩნდებიან ე.წ. თვითმკვლელი ტერორისტები, რომლებიც ფარალური მისიის შესწულებისას „მოსიალურე წამებულებადაც“ იწოდებიან. მათთვის უკან დახევა და მისიის არ შესრულება სირცხვილისა და დამცირების ტოლფასია. ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ერთ-ერთი პროფესორი, ფათალი მოგადემი ,,ტერორიზმისკენ ამავალ კიბეს'' რადიკალიზმისაკენ მიმავალ გზად აღწერს. თითოეული ნაბიჯი რადიკალიზმისაკენ ართულებს უკან დასახევ გზას. პროფესორმა ერი კრუგლანსკი, მერილენდის უნივერისტეტის ფრიქლოგმა,

თვითმკვლელ ტერორისტების უკანასკნელი სიტყვებისა და მათი დედებთან საუბრების ჩაიწერა, რომელთა ანალიზის საფუძველზეც აღმოაჩინა, რომ მათი მთავარი მისწრაფება საკუთარი პიროვნული მნიშვნელობის ძიებაა, მაგრამ ასევე ჩანს ის სასოწარკვეთაც რომელსაც სიკვდილი უტოვებს მათ (Kershaw, S.(2010).The Terrorist Mind:An Update.The New York Times.).

ის ფაქტი, რომ ტერორისტები უარს ამბობენ საკუთარ სიცოცხლეზე. შესაძლოა გამოყენებულ იქნას მათ გონებაში შესარწევად და მათი ფსიქოლოგიის, განცდებისა და აზრების უფრო კარგად გაგემისათვის. ახალგაზრდებს ზშირად ჰპირდებიან ამაღელვებელ თავგადასავლებსა და მსოფლიოს შეცვლის შანსებს, მაგრამ დოქტორი ჰოგანის თქმით, მსგავს დაჯგუფებებში უმეტესად მხოლოდ შურსა და პაექრობებს პოულობენ და ირწმუნებენ, რომ ცხოვრება მოსაწყენია. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მათგანი ასაკის მატებასთან ერთად იცვლება და სხვა ღიებულებები უჩნდება - მაგალითად ისეთი როგორიცაა ოჯახი. ზოგმა შესაძლოა მიიჩნიოს რომ დაჯგუფების მიზნები მიუღწეველია ან საკუთარ მორალურლიმიტს მიაღწია. ,,ალ-ქაიდას'' ერთ-ერთო ყოფილი წევრი გაოგნებული იყო როდესაც გაიგო რომ ბავშვებსა და მოხუცებს ომში ჩაბმისაკენ მოუწოდეს (დ.სუჯაშვილი „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ. გვ.172-174.).

1.4 ვაჰაბიზმი

ვაჰაბიზმი სუნიტური ისლამის ერთ-ერთი მმდინარეობაა, ვაჰაბიზმის ფუძემდებლად ითვლება XVIII საუკუნის მუსლიმი თეოლოგი მუჰამედ იბნ აბდ-ალ-ვაჰაბი.ვაჰაბიზმი ითვალისწინებს ისლამის მაქსიმალურად გაუბრალოებას და ძველი(მუჰგამედის დოინდელი) ისლამური „უმა-თემის წესებით ცხოვებას.ვაჰაბიტური ისლამის მიმდევრები ერთიანდებიან ერთმორწმუნეობის იდეის ირგვლივ,არავითარი წმინდანები და წმინდა ადგილები, თაყვანისცემას მხოლოდ ალაჰი იმსახურებს,ასევე უარყოფილია მუჰამედის კულტი და მას როგორც წინასწარმეტყველს ისე

მოიხსენიებენ, ხალხსა და ალაჰს შორის არავინაა შუამავალი. „ლა ილლაჰა ილლალლაჰი“ -არ არსებობს ღმერთი გარდა ალაჰისა.ვაჰაბიტთა იდეოლოგიის მიხედვით „მუსულმანმა უნდა მიიღოს ისლამის სწავლება, რომელიც ასახულია წმინდა ყურანში — ალაჰის სიტყვაში და სუნაში — წინასწარმეტყველ მუჰამედის გამონათქვამებში“(*მაისაია.ვ თანამედროვე ისლამის როლი მსოფლიო გეოპოლიტიკაში: (რეგიონული პროცესების მაგალითზე), – ფრიდრიხ ებერტის ფონდი.* ისლამი პასუხს სცემს ყველა ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ კითხვას, ჭეშმარიტი მუსულმანი არ მიიღებს არცერთ კანონსა და კონსტიტუციას გარდა შარიათისა.თითოეული მუსლიმი ვალდებულია თავისი ცხოვრება ააწყოს ყურანის მიხედვით,სილამი სამართლიანობის რელიგიაა,ისლამი ჯიჰადის და ცხოვრების რელიგიაა. „ისლამი მოუწოდებს ყველა მის მიმდევარს არ დაინანოს თავისი ქონება, ძალისხმევა და სიცოცხელც კი ისლამის გამარჯვებისათვის. ისლამი უარყოფს პრაგმატიზმს და იმ იდეების შემოტანას, რომლებიც ამახინჯებენ სიწმინდესა და სილამაზეს, კერძოდ სხვადასხვა სახის სიახლეებს და ცრუწმენებს.“ ვაჰაბიზმის ქვაკუთხედს წარმოადგენს „ჯიჰადი“, „საღვთო ომი“ ყველა „გზააცდენილი მუსლიმანის“ და „ურჯულოს“ წინააღმდეგ(მათი აზრით „ჯიჰადი“ თავის თავში გულისხმობს შეიარაღებულ ბროლას).ვაჰაბიტური იდეოლოგიის მიხედვით ჯიჰადი იყოფა ოთხ კატეგორიად :

- „ჯიჰადი შაიტანის წინააღმდეგ.“ ეს პრცესი ხორციელდება ეშმაკის მიერ მოწოდებული ცდუნებებისაგან უარის თქმით;
- ჯიჰადი სულის (ანუ მტრის იდეოლოგიის) წინააღმდეგ;
- ჯიჰადი ურჯულოების წინააღმდეგ (კიაფირების);
- ჯიჰადი მუნაფიკიების წინააღმდეგ.(*მაისაია.ვ თანამედროვე ისლამის როლი მსოფლიო გეოპოლიტიკაში: (რეგიონული პროცესების მაგალითზე), – ფრიდრიხ ებერტის ფონდი.)*

ვაჰაბისტური იდეოლოგია აღიარებს „ჯიჰადს“ როგორც მეექვსე მოვალეობას.წინა ხუთ მთავარ მოვალეობასთან ერთად: შაჰადა(სარწმუნოება), სალიატი(ლოცვა), საუმი(ლოცვა), ზაკიატი(შეწირულობა ღარიბ მუსლიმთათვის) და ხაჯი(მექაში

სალოცავების მოლოცვა). აღსანიშნავია ის გარემოება რომ მექას მოლოცვის დროს ვაჰაბიტები არ მოილოცავენ მუჰამედის საფლავს, რადგან ვაჰაბიტებისათვის არსებობს მხოლოდ სამი წმინდა ადგილი მექა, მედინა და ალ-აქსას მეჩეთი იერუსალიმში.

დღევანდელ ეტაპზე გამოიკვეთა ვაჰაბიზმის მიმდინარეობის რამდენიმე მიმართულება, რომელთა კლასიფიკაცია პირობითად შემდეგი ნიშან-თვისებების მიხედვით შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- 1. ,,ტრადიციული", ანუ კლასიკური მიმართულება - მისი კრედო განისაზღვრება ძირითადში საგარეო პოლოტიკის ორი მთავარი პრინციპით: ისლამური სოლიდარობით და არაბული ერთიანობით.
- 2. ,,მოდერნისტული" მიმართულება - უფრო ადაპტირებულია დღევანდელი სამყაროს ეკონომიკურ რეალიებთან და წარმოადგენს ლიბერალური შინაარსის მატარებელ ისლამის ნაირსახეობას. მისი გეოგრაფიული არეალი ვრცელდება სპარსეთის ყურეზე და მოიცავს აქ მდებარე განვითარებული მუსლიმანურ სახელმწიფოებს (კერძოდ, კატარი, ქუვეითი, ომანი და ა.შ.).
- 3. ,,ფუნდამენტალისტური" მიმართულება - გამოირჩევა მაღალი დონის აგრესიულობით და სამხედრო ორიენტაციის მაღალი მაჩვენებლით. მისი ძირითად კრედოს შეადგენს ე.წ. ,,სუფთა ისლამის ექსპორტის" პრინციპი. მოცემული მიმართულების გეოპოლიტიკურ არეალს წარმოადგენს ისლამური სამყაროს მარგინალური ტიპის სახელმწიფოები, მაგალითად, სუდანი, ავღანეთი (თუმცა ვაჰაბიზმი არ არის ოფიციალურად დაფიქსირებული, როგორც მოძრაობა თალიბანის იდეოლოგია, რეალობაში ასეთი ტენდენცია აშკარაა)და ა.შ. (*მაისაია.ვ თანამედროვე ისლამის როლი მსოფლიო გეოპოლიტიკაში: (რეგიონული პროცესების მაგალითზე), – ფრიდრიხ ებერტის ფონდი.)*

თავი II 2.1 თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის თავისებურებანი და საერთაშორისო ტერორიზმი ფაქტორი

საერთაშორისო ანტიტერორისტული კოალიცია

2001 წლის 12 სექტემბერს, ჩრდილო-ატლანტიკურმა საბჭომ განხორციელებული ტერორისტული თავდასხმა ყველა წევრს სახელმწიფოზე თავდასხმად გამოაცხადა.ეს იყო პირველი შემთხვება ნატოს ისტორიაში როდესაც ამოქმედდა ვაშინგტონის ხეშეკრულების მეხუთე პუნქტი.ერთი წლის შემდეგ პრაღის სამიტზე მიღებული იქნა ტერორიზმისგან თავდაცვის სამხედრო კონცეფცია (დ.სუჯაშვილი „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ. გვ.183-184.).

2003 წლის ნოემბერში ნატო შტაბბინასთან დაფუძნდა ტერორისტული საფრთხის სადაზვერვო შენაერთი, რომელიც მიზნად ისახავდა ინფორმაციის გაცვლას. 2004 წლის ივნისში კი სტამბოლის სამიტზე ხელი მოეწერა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა პაკეტს (დ.სუჯაშვილი „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ. გვ.183-184.).

2014 წლის 11 სექტემბერს ჩამოყალიბდა კოალიცია „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ, რომელთა მიზანიც კონტრტერორისტული მიმართულებით თანამშრომლობა და ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსებების წინააღმდეგ ბრძოლაა. 2014 წელს ასევე საქართველოც ჩაერთო ამ კოალიციაში და იღებს მონაწილეობას სამი მიმართულებით რომლებიცაა: ე.წ „ისლამური სახელმწიფოს“ დაფინანსება, ტერორისტების შედინება და კონტრაბანდა. 2001 წლიდან მოყოლებული ყველა ძლიერი საერთაშორისო ორგანიზაციაეძებს გზას ტერორიზმის პრევენციისათვის (დ.სუჯაშვილი „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ. გვ.183-184.).

ევროკავშირის კონტრტერორისტული საქმიანობა

ევროკავშირის შექმნასთან ერთად, ორგანიზაციის ხელმძრვანელობამ შეიმუსავა უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც დღითიდღე ვითარდება. ტერორისტული საფრთხეების მიმართულებით უახლოეს წარსულში არაერთი ორგანო ჩამოყალიბდა, როგორიც არის ევროპოლი (დაარსდა 1993 წელს), სადაზვერვო სამსახურები (2000 – 2004 და 2011 წლები). აშშ-ში კი სადაზვევო სამსახურები ანგარიშვალდებულნი არიან კონგრესის წინაშე, მაშინ როცა ევროკავშირში სპეცსამსახურები ზედამხედველობისა და კონტროლის მიღმა იმყოფებიან. ამასთანავე, ევროკავშირს გააჩნია სადაზვერვო ანალიტიკური ცენტრის (INTCEN), როლის ამოცანა და მიზანია ხელმძღვანელობის წინასწარი ინფორმირება მოსალოდნელ საფრთხეებზე. ასევე, ხდება მონიტორინგი ტერორისტული ჯგუფებისა და იარაღის მიმართულებით. ცენტრი 2002 წლიდან გაერთიანდა მართვის ცენტრთან, რომელთა შემადგენლობა 70 000 თანამშრომელს მოიცავს და გააჩნია 2 დანაყოფი, რომლებიცაა:

- **ანალიტიკური დანაყოფი** - ახორციელებს ინფორმაციის ანალიზს;
- **საერთო და საგარეო ურთიერთობათა დანაყოფი** - ახორციელებს ადმინისტრაციულ და იურიდიულ უზრუნველყოფას.

2002 წელს ჩამოყალიბდა ევროკავშირის სატელიტური ცენტრი (EUSC), რომელიც ახდენს თანამგზავრული ინფორმაციის მოპოვებას. ცენტრი უფლებამოსილია რესურსების გამოყენების ნება დართოს არაწევრ ქვეყნებსაც, რომელთაც ასოცირების ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული.

ზოგიერთი სპეცსამსახურს შორის, საფრანგეთის,ჰოლანდიის,გერმანიის,დანიის და ბელგიის მონიტორინგის ჯგუფების მიერ, თანამშრომლობა ყოველდღიურად ხორციელდება. მიმართულია ფინანსურ დაზვერვასა და ფულის უკანონო გათეთრებისაკენ.

კონტრტერორიზმის საკითხებზე,ევროსტრუქტურები თანამშრომლობენ ისეთ სპეცსამსახურებთან როგორებიცაა ბრიტანული „ტერორიზმის ანალიზის გაერთიანებული ცენტრი“ (JTAK), დანიური „ტერორიზმის ანალიზის ცენტრი“(CTA) და გერმანული „საკოორდინაციო სამსახური“(Coordination Service).

2005 წელს გაფორმდა ხელშეკრულებები ევრკავშირის საბჭოს სამდივნოსა და „ევროპოლს“ შორის,ინფორმაციის ურთიერთგაცვლის თაობაზე, რამაც გააუმჯობესა უსაფრთხოების სტრუქტურების კოორდინაცია.(დ.სუჯაშვილი „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ. გვ197-198.)

აშშ-ის კონტრტერორისტული საქმიანობა

აშშ-ს საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. აშშ-ს კონტრტერორისტული სტრატეგიის ორი მიზანი აქვს : ტერორიზმისგან დაიცვას მისი მოქალაქეები, მოკავშირეები და მსოფლიოში შექმნას ტერორიზმის გავრცელებისთვის მიუღებელი გარემო. აშშ ტერორიზმთან ბრძოლაში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობის გაღრმავებას დაკოორდინაციას.

აშშ-ში 1958 წლიდან მოყოლებული შეიქმნა ათეულობით კანონი ტერორიზმის წინააღმდეგ. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არის პრეზიდენტის დირექტივა N39 (1995 წლის ივნისი) ,, ტერირიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და სიკვდილით დასჯის შესახებ''. ასევე პრეზიდენტის დირექტივა N62 (1998 წლის მაისი) ,, კანონი სპეცსამსახურებისთვის დამატებითი უფლებამოსილების მინიჭების შესახებ'', ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტმა დღის წესრიგში დააყენა აშშ-ს კონტრტერისტული სტრტეგიის განახლების საკითხი. კონგრესმა შეიმუშა ნორმატიული აქტების ცვლილებათა პაკეტი, რომელიც ცნობილია

,, პატრიოტული აქტის'' სახელით. აღნიშნულმა აქტმა განსაკუთრებით გაუზარდა უფლებამოსილება ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლ უწყებებს.

აშშ-ის კონტრტერორისტული სტრატეგია ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: არანაირი დათმობა ტერორისტებს, ყოვლისმომცველი პოლიტიკურ-ეკონომიკური წნეხი იმ ქვეყნების მიმართ რომლებიც ეხმარებიან ტერორისტებს და ყოველმხრივი დახმარება მოკავშირეებს. 2001 წლის ტერაქტის შემდეგ ბრძოლის ეფექტურობის გაზრდის მიზნით პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციამ შექმნა შიდა უსაფრთხოების საბჭო (Homeland Security Council) რომელიც შეიმუშავებს შიდა უსაფრთხოების სტრატეგიას და რეკომენდაციებს პრეზიდენტისთვის. ჩამოყალიბდა ახალი თანამდებობა პრეზიდენტის თანაშემწე შიდა უსაფრთხოების საკითხებში. ასევე შეიქმნა ეროვნული უსაფრთხოების საბჭო (National Security Council).

2003 წელი- შეიქმნა ტერორისტული საფრთხეების ინტეგრაციის ცენტრი (TTIC)
2003 წელი - ტერორიზმის აქტივობების მონიტორინგის ცენტრი (Terrorism Screening Centre) რომლის მიზანია სანფორმაციო ბაზის შექმნა მსოფლიოში მიმდინარე ტერორისტული აქტივობების შესახებ.
2004 წელი - შეიქმნა ეროვნული ანტიტერორისტული ცენტრი (National Counterterrorism Center).

აშშ-ის ფინანსთა სამინისტროში შეიქმნა სპეციალური სტრუქტურა რომელიც მონიტორინგს ახორციელებს ტერორიზმის დაფინანსების წყაროებსა და ტერორისტების ფინანსური მოძრაობების პრაქტიკებზე.

ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი უწყებების კოორდინირებული მუშაობით და პარტნიორ ქვეყნებთან მიზანდასახული თანამშრომლობით აშშ იქცა მსოფლიოში საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის ლიდერ ქვეყნად. აშშ-ს მთავარი ინტერესია, ებრძოლოს საერთაშორისო ტერორიზმს ქვეყნის შიგნით და ახლო აღმოსავლეთში, თუმცა კონტრტერორისტული სტრატეგია ითვალისწინებს ანტიტერორისტული მონიტორინგის განხორციელებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

2.2 ისლამური სახელმწიფო: ჩამოყალიბება, მიზნები, ტერორისტული საქმიანობა, სამხედრო ძალა, პროპაგანდა.

ჩამოყალიბება

ბოლო წლების განმავლობაში მსოფლიოში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ე.წ „სირიისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო“ (ISIS ან DAESH) . იგი ოფიციალურად 2014 წლის 8 აპრილს გამოცხადდა სახელმწიფოდ დედაქალაქით-სირიის ქალაქ რაქაში.სახელმწიფოს მიზანია გაფართოვდეს სირიისა და ლევანტის ტერიტორიაზე,სადაც თავის დროზე პირველი არაბული ხალიფატი შეიქმნა,რომელიც შარიათის პრინციპზეა დაფუძნებული რომ შემდგომ უფრო მეტად გაფართოვდეს.(დ.სუჯაშვილი „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ. გვ.140-142.)

„ისლამური სახელმწიფოს“ ჩამოყალიბება არ ყოფილა სპონტანური მოვლენა.ამისათვის ძალიან დიდხანს მიმდინარეობა საფუძვლის მომზადება.ტერიტორიებზე რომელზეც ისლამური სახელმწიფოს მმართველი ელიტა აცხადებს პრეტენზიებს,ცხოვრობს ეთნიკურად ჭრელი მოსახლეობა.მოსახლეობის მგდომარეობა კარგად არის გამოყენებული ილამისტთა იდეოლოგიაში.მუსლიმთა ხუთი მთავარი მოვალეობიდან ერთ-ერთია სავალდებულო მოწყალება, რომელზე დაყრდნობითაც ხდება მოსახლეობის დამუშავება რომ მათ დაეხმარება ავტოკრატიული მთავრობა.ვაჰაბიზმის იდეოლოგიით გაჯერებულ გარემოში, ტერორისტული ორგანიზაციის ლიდერები არწმუნებდნენ მომავალ თანამებრძოლებს რომ მათ მიერ შექმნილ სახელმწიფოში იქნებოდა თანასწორობა,მოსახლეობას ექნებოდა უფასო სამედიცინო და სოციალური დახმარება (აღნიშნული დაპირებები რეალურად შესრულდა), „ისლამური სახელმწიფო“ იქნებოდა ყველა მუსლიმის სამშობლო განურჩევლად მისი ეთნიკური კუთვნილებისა.

თანამედროვე ტერორისტულ ორგანიზაციებს შორის „ისლამური სახელმწიფო“ წარმოადგენს ყველაზე დიდ, ძლიერ და მდიდარ ორგანიზაციას. „ისლამური სახელმწიფოს“ იდეოლოგია არის ვაჰაბისტური (სუნიტური) და გამოირჩევა სისასტიკით, რისი დადასტურებაცაა მასობრივი მკვლელობები და საჩვენებელი სიკვდილით დასჯები. „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები განსაკუთრებული სისასტიკით ეპყრობიან ქურთებს, ქრისტიანებსა და შიიტ მებრძოლებს, ასევე ადგილი აქვს ეთნიკურ და რელიგიურ გენოციდებს (Garges A.F. ISIS and the Third Wave of Jihadism.Current History.December,2014.).

განვითარება

კარგად ჩამოყალიბებულმა სამხედრო ხელმძღვანელობამ, რომელიც იყენებდა რელიგიურ საფარს ისარგებლა შექმნილი გარემოებებით და ხელში ჩაიგდო უდიდესი ბუნებრივი რესურსი (წიაღისეული). ამ ყოველივემ გამოიწვია ომი. ომი სირიაში მიმდინარეობდა ახალი სახელმწიფოს შექმნის მოტივით და არა ბაშარ ალ ასადის წინააღმდეგ. „ ისლამური სახელმწიფოს“ ტერიტორიაზე დაუყოვნებლივ გაჩნდა ახალი მართვის ორგანოები,კანონი შარიათის პრინციპბით,უნიფიცირებული ქცევის წესები,არალოიალური მოპყრობა ქურთების, ქრისტიანების, შიტებისა და კონკურენტი ბანდფორმირებების წინააღმდეგ (დ.სუჯაშვილი „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ. გვ.140.).

2014 წელს „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა დაიკავეს ქალაქი მოსული და ერაყის დიდი ნაწილი. ამის შედეგად მათ გაუჩნდათ შემოსავლის წყარო ნავთობის სახით. აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით, „ისლამური სახელმწიფო“ გახდა მსოფლიოს უმდიდრესი ტერორისტული ორგანიზაცია. ოკუპირებული ტერიტორიებიდან კი ხდებოდა ნავთობის გაყიდვა (რეალურზე ბევრად დაბალ ფასად), ასევე დღემდე ადგილი აქვს კონტრაბანდასა და ფულის გათეთრებას, მოსახლეობიდან გადასახედების ამოღებას და მათი გადარჩენილი ნაწილის მონათა ბაზარზე გაყიდვა. ასევე, საკმაოდ შემოსავლიანია ისტორიული ძეგლებიდან

ატრეფაქტების გაყიდვა (დ.სუჯაშვილი „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ. გვ.141.).

ქალაქ მოსულის დაკავების შემდეგ „ისლამურმა სახელმწიფომ“ გააძლიერა შეტევები ბაღდადზე. ხოლო 2014 წლის ივნისის ბოლოს მათ დაიკავეს დამაებით რამოდენიმე ქალაქი.დასავლური კოალიციის მხრიდან მასირებული შეტევების დაწყებამდე ისინი აკონტროლებდნენ 40 000 კვადრატულ კილომეტრ ფართობს,ნავთობის საბადოებით, კაშხალებით,ჰიდროელექტროსადგურებითა და სასაზღვრო-გამშვები პუქტებით. დაკავებულ ტერიტორიაზე , დაჯგუფების წევრები შარიათის კანონების მიხედვით გადასახადს უწესებდნენ არამუსლიმ მოსახლეობას,ან თხოვდნენ ისლამზე მოქცევას, წინააღმდეგ შემთხვევაში მასობრივად ხვრეტდნენ.(დ.სუჯაშვილი „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ. გვ.141)

„ისლამური სახელმწიფოს“ სისასტიკემ გამოიწვია მეზობელ ქვეყნებსა და ევროპაში ლტოლვილთა უდიდესი ნაკადების გადინება, მათი უმრავლესობა ქურთი ეროვნების მოსახლეობა იყო რომლებიც ცდილობდნენ თავი შეეფარებინათ ე.წ ქურთისტანის ტერიტორიაზე, რომელსაც კარგად შეიარაღებული სამხედრო შენაერთები იცავდნენ.

მას შემდეგ რაც, 2014 წლის 3 ოქტომბერს „ისლამური სახელმწიფოს“ შენაერთები შეიჭრნენ თურქეთის საზღვარზე მდებარე ქურთულ ქალაქ ქობანიში, ლტოლვილთა დიდი ნაკადები სხვადასხვა გზებით გადავიდნენ მეზობელ ისლამურ ქვეყნებში,მხოლოდ სირიიდან ლტოლვილთა რაოდენობა 3 000 000-ს აღემატებოდა.ლტოლვილების გარკვეულმა ნაწილმა თავშესაფარი ევროპულ ქვეყნებში მოძებნეს, სადაც ასევე ბევრი იყო ისლამური სახელმწიფოს ფარული მხარდამჭერი.ევროპის ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა ქურთებსა და ვაჰაბიტებს შორის ფიზიკურ დაპირისპირებას (დ.სუჯაშვილი „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ. გვ.141).

,,ისლამურ სახელმწიფოს'' გააჩნია ორგანიზებული მართვის სისტემა. 2010 წლიდან ორგანიზაციის საქმიანობებში ჩაერთო ერაყის სამხედრო სპეცდანიშნულების ძალების ყოფილი მეთაური, პოლკოვნიკი ჰაჯი ბაქარი, რომელმაც თავისი მოქნილი

მოქმედებებით შექმნა მართვის სტრუქტურა, რომელიც „შურას“ ფუნქცებს ითავსებს. 2016 წელს აბუ ბაქრ ალ ბაღდადი გახდა „ისლამური სახელმწიფოს“ ხელმძღვანელი“ (დ.სუჯაშვილი „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ. გვ.144.).

მიზნები

ე.წ ,,ისლამური სახელმწიფოს'' მიზანია, დამუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება, შარიათის კანონებით მმართველობა და მუჰამედის დროინდელი ხალიფატის აღდგენა.

აღსანიშნავია „ისლამურ სახელმწიფოს“ სამი ძირითადი მიზანი:

I. გაფართოება და სახელმწიფოს გაძლიერება;
II. რეგიონული ექსპანსია;
III. ტერორიზმის გლობალური მასშტაბით ექსპორტი და გავრცელება.

,,ისლამურ სახელმწიფოს'' მიზნები სცილდება მანამდე არსებული „ძველი“ ტერორისტული ორგანიზაციების მიზნებს. „ისლამურმა სახელმწიფომ“ აშკარათ გამოხატა ტერიტორიული პრეტენზიები (*მაისაია.ვ ობოლაძე.ბ ., „ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ტერორიზმი XXI საუკუნეში.თბილისი 2009.).*

,,ემნი''

,,ისლამურ სახელმწიფოს'' ტერორისტული საქმიანობის ძირითადი ორგანიზატორი არის ,,ემნი''. აღნიშნულ დანაყოფს გააჩნია შეუზღუდავი ძალაუფლება ორგანიზაციის შიგნით. ეს დანაყოფი უფლებამოსილია, ყველა სხვა დანაყოფიდან გადაიბიროს

ნებისმიერი წევრი. შერჩევა ხდება მათი ეთნიკური კუთვნილების, უცხო ენების ცოდნის და ევროპაში კონტაქტების არსებობის მიხედვით. „ემნის“ წევრებს ერთმანეთთან შეხვედრა შეზღუდული აქვთ და მხოლოდ უშუალოდ დავალებაზე ხვდებიან ერთმანეთს. „ემნის“ ხელმძღვანელი იყო აბუ მუჰამედ ალ-ადნანი, რომელიც იყო ტერორისტულ ელიტაშიც კი გასაიდუმლოებული პიროვნება. იგი დაიბადა სირიის ჩრდილოეთ ქალაქ ბინიშში, ხოლო მისი ცხოვრების სხვა დეტალები უცნობია. ალ-ადნანი პირადად კურირებდა ყველა საგარეო „ოპერაციას“, რაც მის პერიოდში ჩატარდა. 2016 წლის 30 აგვისტოს ალ-ადნანი მოკლეს სირიის ქალაქ ალეპოზე აშშ-ს საჰაერო ძალების მიერ განხორციელებული ავიაიერიშის დროს. (Speckhard A., Yayla S.A. The ISIS Emni: The Inner Working and origins of ISIS's Intelligence Apparatus.Research paper. International Center for the study of Violent Extremism.December 3,2016.)

,,ემნის'' ამჟამინდელი ლიდერები არიან აბუ სულეიმანი და აბუ აჰმადი. ისინი ითვლებიან ალ-ადნანის მოადგილეებად. ,,ემნი'' დამსახურებულად იქცა ,,ისლამურ სახელმწიფოს'' ერთ-ერთ წამყვან რგოლად. სწორედ ,,ემნის'' მებრძოლებმა ე.წ. ჩემოდნიანი ბომბების გამოყენებით მოაწყვეს პარიზის აეროპორტის ტერმინალსა და ბრიუსელის მეტროსადგურის ტერიტორიაზე. ევროპაში ,,ენმის'' მიერ გამოყენებული იქნე ე.წ. ,, სუფთა წევრების'' ტაქტიკა. სწორედ ამ ჯგუფის მიერ იქნა გაგზავნილი ასეულობით ტერორისტი და ჯაშუში ევროპაში. 2014-2015 წლებში, საფრანგეთში დაკავებულ ისლამისტთა განმარტებით, ,,ემნის'' სტრატეგიით, მეტი ყურადღება დაეთმო ტერორიზმის საზღვარგარეთ პროვოცირებას.

საფრანგეთის, ბელგიისა და ავსტრიის სადაზვერო სამსახურების ცნობით დგინდება, რომ ,,ემნის'' მიერ გაწვრთნილი ტერორისტული ჯგუფების სულ მცირე 28 წევრმა შეძლო მოქმედების გაგრძელება ,,ისლამურ სახელმწიფოს'' კონტროლიერებადი ტერიტორიების გარეთ. ,,ემნის'' ხელმძღვანელობა განსაკუთრებით ინტერესდება მათ რიგებში გაწევრიანებული ევროპის მოქალაქეებით, ე.წ. ,,ახლად მოქცეული მუსლიმებით'', რომელთაც სწავლების შემდეგ აბრუნებენ საკუთარ ქვეყნებში, რათა იქ

განაგრძონ მოქმედება (Speckhard A., Yayla S.A. The ISIS Emni: The Inner Working and origins of ISIS's Intelligence Apparatus.Research paper. International Center for the study of Violent Extremism.December 3,2016.).

ისლამური სახელმწიფოს სამხედრო ძალა

სხვადასხვა მონაცემებით ,,ისლამურ სახელმწიფო" აერთიანებდა 30 000 – 50 000 მებრძოლს 2010 წლის მონაცემებით,2018 წლის მონაცემებით კი მათი რაოდენობა 100 000-230 000 მერყობს,რომელთაგანაც 15 000 წევრი 80-ზე მეტი სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე იყო. აღსანიშნავია,2500 ზე მეტი აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების, და საქართველოს 150-მდე მუსლიმი მოქალაქე.

ბოლო მონაცემების მიხედვით რაოდენობრივარ დაახლოებით მსგავსი განაწილება გვაქვს: სირია 43 000-75 000,პაკისტანი 18 000 -40 000, ავღანეთი 27 000- 65 000, ერაყი 10 000-15 000, ლიბია – 4 900-10 000 ნიგერია – 3 000- 7 000 სომალი – 3 000- 7 000 იემენი – 2 300-3 500 მაელი – 1, 300-3 200 .(Seth G. Jones and others, "The Evolution of the Salafi-Jihadist Threat", CSIS, November, 2018, p. 10)

ისლამური სახელმწიფოს მებრძოლთა ხელში აღმოჩნდა დიდი რაოდენობით იარაღი,რუსული წარმოების ტანკები და სხვადასხვა ტიპის შეჯავშვნილი ტექნიკა.ასევე ერაყის არმიისთვის განკუთვნილი ამერიკული შეიარაღება.ასევე მათ მოახერხეს საბრძოლო თვითმფრინავებისა და ვერტმფრენების ხელში ჩაგდება.მიმდინარეობს სამხედრო მფრინავების გადამზადება, რადგან ამ ეტაპზე მფრინავები არ ჰყავთ.

მუსლიმებისთვის თავდაპირველი მოწოდება იყო შეერთებოდნენ ,,ისლამურ სახელმწიფოს'', თუმცა სამხედრო იერიშის გაძლიერების შემდეგ ალ-ადნანიმ, რომელიც იმ პერიოდში სპიკერის როლში იყო, მომხრეებს დარჩენა და ადგილზე მოქმედებისაკენ მოუწოდა. ეს იყო საფუძველი ე.წ „Lone Wolf" თავდასხმების

გააქტიურებისა.(დ.სუჯაშვილი „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ. გვ.149-150.)

“ეს არის მარტოდ მოქმედი ადამიანი, მიუხედავად იმისა რომ ის არ არის გაერთიანებული ტერორისტულ ორგანიზაციაში, ის იზიარებს ორგანიზაციის იდეოლოგიას“ (გვარამია.გ., ექსპერტი უსაფრთხოების სფეროში)

ტერორისტული აქტების ტრანსფორმაცია

ტერიტორიული დანაკარგების მიუხედავად,ჯიჰადისტები ცდილობენ ახალ გარემოს მოერგონ და თანამედროვე ტექნოლოგიებს ფეხი აუწყონ.მართალია ბოლო წლებში ნაკლები ბომბი აფეთქდა ევროპის ტერიტორიაზე, მაგრამ გამოიკვეთა მრავალი ახალი თავდასხმის საშუალება და იარაღი,ტერორისტებმა დაიწყეს ავტომობილების, დანების, ჩაქუჩებისა და ნაჯახების იარაღად გამოყენება, რასაც არ სჭირდება ჯგუფების ორგანიზება და ხანგრძლივი დაგეგმვა.მსგავსი ტერაქტი შეიძლება ერთმა ადამიანმაც მოაწყოს რაც კიდევ უფრო ართულებს მსგავსი საფრთხის პრევენცირებას.გარდა ამისა ჯიჰადისტებს დიდი ავტონომიურობა ენიჭებათ, მათ შეუძლიათ შეთანხმების გარეშე, თავად აირჩიონ როგორც ტერაქტის დრო და ადგილი, ასევე სამიზნე და იარაღი რითიც მოახდენენ თავდასხმას.აღნიშნული გარემოებაც ამცირებს ინფორმაციის გავრცელების ალბათობას.

ტექნოლოგიური განვითარების ფონზე, ტერორისტულმა ორგანიზაციებმაც არ დაიგვიანეს და ფეხი აუწყვეს თანამედროვეობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია დრონები, რომელსაც გამოიყენებენ როგორც დაზვერვის ასევე თავდასხმითი ოპერაციების შესასრულებლად.(Seth G. Jones and others, “The Evolution of the Salafi-Jihadist Threat”, CSIS, November, 2018, p. 29) დღევანდელ ბაზარზე დრონის შეძენა შეუძლია ნებისმიერ პიროვნებას, ასევე ადვილადაა შესაძლებელი კერძო პირმა თავად დაამზადოს მსგავსი საფრენი აპარატი.2017 წლის მონაცემებით, საშუალოდ 60 დან 100 მდე საჰაერო თავდასხმა ხდებოდა ყოველთვიურად ერაყისა და სირიის

ტერიტორიაზე დრონების გამოყენებით(Don Rassler, “The Islamic State and Drones: Supply, Scale, and Future Threats”, West Point, NY: Combatting Terrorist Center at West Point, United States Military Academy, July, 2018;) .ჯიჰადისტებმა დრონების სერიულად წარმოებაც დაიწყეს,ერაყის უსაფრთხოების ძალების მიერ, მათი ქარხანა აღმოჩენილ იქნა 2017 ივნისში(Unmanned Systems Integrated Roadmap (Washington, DC: U.S. Department of Defense, 2013), https://www.defense.gov/Portals/1/Documents/pubs/DOD-USRM-2013.pdf.).

ცალკე უნდა აღინიშნოს დისტანციურად მართვადი ნავი, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ ერთხელ (2017 წლის იანვარში) გამოიყენეს ახლო აღმოსავლეთში მოწინააღმდეგეზე თავდასასხმელად. 12 თუმცა, მომავალში ამ ტაქტიკის დახვეწაც შესაძლებელია. ჯიჰადისტები საკუთარი თავის რეკლამირების, მიმდევრებში მოტივაციის გაზრდის, დაფინანსების ახალი წყაროებისა და კადრების მოზიდვის მიზნით აქტიურად იყენებენ სოციალურ მედიას, მათ შორის, „ტვიტერს“, „ტელეგრამს“, „ფეისბუქს“ და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელნი აქტიურად ებრძვიან ჯიჰადისტურპროპაგანდას. მაგალითად, „ტვიტერმა“ 2015-2016 წლებში გააუქმა ტერორიზმთან კავშირში შემჩნეული 360 000 ანგარიში. 13 საპასუხოდ, ჯიჰადისტები ცდილობენ კომუნიკაციებისთვის საჭირო ალტერნატიულ არხებსა და აპლიკაციებზე გადასვლას. კიდევ ერთი სფერო, რაც შეიძლება გამოიყენონ ჯიჰადისტებმა, ხელოვნური ინტელექტია. მართალია, ამ ეტაპზე ჯიჰადისტური ჯგუფების უმეტესობას ამის რესურსი არ გააჩნიათ, მაგრამ როგორც აშშ-ის ეროვნული დაზვერვის დირექტორმა დენიელ ქოასთმა აღნიშნა 2018 წლის „საერთო გლობალური საფრთხეების შეფასებაში“, ხელოვნურმა ინტელექტმა შესაძლოა შექმნას ახალი გამოწვევები ეროვნული უსაფრთხოების სფეროში. 14 ბოლო პერიოდში ჯიჰადისტური ორგანიზაციები სულ უფრო ხშირად იყენებენ დაშიფრული კომუნიკაციის აპლიკაციებს, რაც აძნელებს სამთავრობო სტრუქტურების შესაძლებლობას, აკონტროლონ მათი კავშირები15. ცალკე განხილვის თემაა ვირტუალური ვალუტა, რისი ტრანსაქციებისთვისაც აღარაა საჭირო ბანკები. ეს კი გამორიცხავს თანხების წარმომავლობის დადგენისა და მათი მოძრაობის

გაკონტროლების შესაძლებლობას. 16 ამის გარდა, აკრძალული ბიზნესისთვის (ნარკოტიკები, იარაღი, მომხმარებელთა ბაზები და სხვა არალეგალური საქმიანობა) გამოიყენება ე.წ. “Dark Web” („ბნელი ქსელი“), რომელიც არ ჩანს ჩვეულებრივ საძიებო სისტემებში (www – World Wide Web). „დაეშმა“ ჯერ კიდევ 2015 წელს პარიზში განხორციელებული თავდასხმის შემდეგ განაცხადა,რომ საკუთარი მიზნებისთვის იგი აქტიურად გამოიყენებდა ე.წ. “Dark Web”-ს. 17 მათ ამ გზით საკუთარი მომხრეებისთვის კაპიტალისა და იარაღის მიწოდების საშუალება ეძლევათ. 18 განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 2016 წელს „დაეშის“ მიერ შექმნილი დანაყოფი, ე.წ. „გაერთიანებული კიბერსახალიფო“, რომლის მიზანიც კიბერშეტევების განხორციელებაა. ამ დანაყოფმა არაერთი ვებგვერდის, ასევე ასობით „ფეისბუქისა“ და „ტვიტერის“ მომხმარებლის ანგარიშის დაჰაკერება შეძლო.კიდევ ერთ საფრთხეს წარმოადგენს ჯიჰადისტების მიერ მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების შესაძლებლობა, მით უმეტეს, „დაეშსა“ და „ალ-ქაიდას“ უკვე გამოყენებული აქვთ ქიმიური იარაღი სირიასა და ერაყში. (Wolf, Ken, “Cyber Jihadis Dabble in DDoS: Assessing the Threat”, Flashoint, July 2017)

,,ისლამურ სახელმწიფოს’’ დაფინანსება

,,ისლამურ სახელმწიფო“ და ზოგადად ტერორისტული ორგანიზაციები ფინასდებიან რამოდენიმე მეთოდით როგორებიცაა:

- კერძო პირების მხრიდან შემოწირულობები
- დაპყრობილ ტერიტორიებზე გადასახადების აკრეფა
- სახელმწიფო დაფინასება
- კრიმინალური საქმიანობა
- ისტორიული არტეფაქტებით ვაჭრობა
- ნავთობით (უკანონო)ვაჭრობა

ნავთობით უკანონო ვაჭრობა გახლავთ ,,ისლამურ სახელმწიფოს'' ერთ-ერთი უმთავრესი ფინანსური წყარო, რომლის ჩაკეტვაც არის ტერორიზმთან ბრძოლის ერთ-ერთი გადამწყვეტი ელემენტი.

კოალიციის მასირებულ შეტევებამდე, ,,ისლამურ სახელმწიფო" არმოსავლეთ სირიაში აკონტროლებდა ქვეყნის ნავთობის 60 %-ს,დღში დაახლოებით 50 000 ბარელს.საბრძოლო მოქმედებები ხელს უშლიდა მის გაზრდას 220 000 ბარელამდე, ხოლო ქვეყნის მაქსიმუმი 385 000 ბარელია დღში.

გადამუშავებული ნავთობი, საბაზრო ღირებულებაზე გაცილებით დაბალ ფასად, იყიდებოდა თურქეთის სამხრეთით მდებარე ე.წ „დერეფნის" გავლით.კონტრაბანდულ ნავთობთან ერთად ისინი ასევე ყიდდნენ მოპარულ ისტორიულ არტეფაქტებს,და ასევე ხდებოდა ჯიჰადისტების შედინება ამ ტერიტორიიდან.,,ისლამურ სახელმწიფო" დღეში დაახლოებით 3 000 000 აშშ -$ მოგებას ნახულობდა.

მას შემდეგ რაც ,,ისლამურ სახელმწიფომ" შეძლო ერაყის სუნიტური ტერიტორიის დაკავება, მათ ხელში აღმოჩნდა 7 ნავთობის საბადო, დაახლოებით 80 000 ბარელი დღეში.2014 წლის ივნისის ბოლოსთვის,აჯილის საბადოდან გაყიდული იქნა 40 000 ბარელი დღში,ბარელზე 25-60 აშშ $ ფარგლებში.კონტრაბანდული ნავთობი იქცა დაფინანსების ერთ-ერთ მთავარ არტერიად.

გარდა ნავთობის გაყიდვისა არსებობს დაფინანსების სხვა წყაროებიც, როგორებიცაა შემოწირულობები (ზაქათი), რეკეტი/კონტრაბანდა, არტეფაქტებით და სიძველეებით ვაჭრობა, რელიგიური და საქველმოქმედო ფონდები რომლებიც ძირითადად სპარსეთის ყურეში მდებარეობდა.(Cash to Chaos: Dismanteligns ISIS Financial Infrastructure.House Homeland Security Committee Major Staff Report.October,2016.)

,,ისლამურ სახელმწიფოს“ პროპაგანდა

,,ისლამურ სახელმწიფო“ ეფექტურად იყენებს კიბერსივრცეს,დაჯგუფება ინტერნეტის საშუალებით ახერხებს ადამიანთა მკვლელობების ამსახველი ვიდეოების გავრცელებას და მათი წევრები აქტიურად მონაწილეობენ სოციალური მედიის ბაზარზე, ასევე ღიად იზიდავენ ახალგაზრდა წევრებს და ნერგავენ შიშს.

არსებობენ ე.წ შუამავლები რომლებიც სამლოცველოებსა და რელიგიურ ორგანიზაციებში ახდენენ ახალგაზრდების, განსაკუთრებით ბრძოლისუნარიანი ნაწილის გადაბირებას. ამ კუთხით აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ევროპაში, აშშ - ში, თურქეთში, საქართველოში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, სამხრეთ აზიაში, შუა აზიასა და ახლო აღმოსავლეთში. (Ristori M. C Online Jihad: ISIS's foreign Recuriteman Strategies_Who,What,end Why? Carnegie Mellon University,2016.)

მობილიზებული ჯიჰადისტები გადიან მომზადების რამოდენიმე ეტაპს, რომელიც საკმაოდ შორს მიმავალი მიზნები გააჩნია:

- 1 ეტაპი - კონტაქტი, გაცნობა, გადაბირება.
- 2 ეტაპი - ბრძოლის ველზე არსებულ ბანაკში ჩაყვანა და უშუალოდ ბრძოლის ველზე მომზადება.
- 3 ეტაპი- ტერორისტულ აქტებში,მასობრივ ხოცვა-ჟლეტაში უშუალო მონაწილეობა.
- 4 ეტაპი- სამშობლოში დაბრუნება, ავტორიტეტის მოპოვება და ახალი მოხალისეების გადმობირება.
- 5 ეტაპი- ჯიჰადისთვის მომზადება და საჭიროების შემთხვევაში ტერორისტული აქტების ორგანიზება.

„ისლამური სახელმწიფო“ აწარმოებს ჟურნალს რომელიც არის ინგლისურენოვანი „DABIQ" აღნიშნული ჟურნალი ალაჰის სახელით ვრცელდება ინტერნეტში.ჟურნალი პროპაგანდას უწევს : ეთნიკურ წმენდას, მონებით ვაჭრობას, გაუპატიურებასა და

მკვლელობებს. (დ.სუჯაშვილი „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ. გვ.152-153.)

ჯიჰადისტი ქალები ,,ისლამურ სახელმწიფოში”

პატრიარქალური საზოგადოება ეწონააღმდეგება ქალს, როგორც კონფლიქტში მონაწილება სუბიექტის იდეას. ქალის მონაწილეობა ტერორიზმში კი, პირიქით ეწინააღმდეგება ქალის მეორეხარისხოვანი როლის ტრადიციულ ცნებებს. აღიშნულ კონტექსტში, განსაკუთრებით აღსანიშნავია, ამერიკის შეერტებულ შტატებში, ევროპასა და სხვა ქვეყნებში მცხოვრები მუსლიმი ქალების ჩართულობა ჯიჰადის მხარდასაჭერაში. „ისლამური სახელმწიფოს“ ტერიტორიაზე მამაკაცებს, შარიათის კანონების გათვალისწინებით, ეკრძალებათ ჩადრით შემოსილი ქალის ფიზიკური შემოწმება. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად შექმნეს ჯიჰადის ქალთა სპეციალური ბრიგადა - ,,ალ-ხანსა’’. აღნიშნული ბრიგადის წევრები ქალაქის ქუჩებში პატრულირებენ და უზრუნველყოფენ რომ ქალთა შემოწმება ხდებოდეს შარიათის წესების დაცვით. გარდა პატრულირებისა, ტერორისტი ქალები აქტურად მონაწილეობენ ტეროტისტულ აქტივობებშიც. გარდა ამისა, საკმაოდ ხშირად ვხვდებით ინტერნეტის საკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით ქალთა გადაბირებას სხვადასვა ქვეყნებიდან. მათ სთავაზობენ ჭეშმარიტი მუსლიმანური ოჯახის შექმნას, თუ ისინი ჩავლენ „ისლამური სახელმწიფოს“ კონტროლირებად ტერიტორიებზე. ამ მიმართულებით ერთ-ერთი საშუამავლო რგოლი მუშაობს სხვადასხვა ქვეყანაში.(დ.სუჯაშვილი „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ. გვ.160-161.)

ბავშვები „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში

ბოლო პერიოდის განმავლობაში, ისლამისტები ბავშვებს იყენებენ პროპაგანტისტური ვიდეოებისათვის. ვიდეოებში აღბეჭდილია ბავშვების მხრიდან ტყვეთა სიკვდილით დასჯა, ბრძოლა და სუიციდიც კი. „ისლამური სახელმწიფოს“ ტერიტორიაზე მცხოვრებ ბავშვებს აიძულებენ შეუერთდნენ მათ რიგებს, რაც ძირითადად გატაცების გზით ხდება. თუმცა არსებობს სისტემური მიდგომაც, რომელშიც მოიაზრება მცირე ასაკიდან ბავშვების იდეოლოგიური დამუშავება. აღნიშნული ბავშვები მოიაზრებიან არა მხოლოდ მიმდინარე ტერორისტული მიზნების მისაღწევად, არამედ ტერორიზმის მომავალ თაობადაც, რომელთა მეშვეობითაც მოხდება ტერორისტული მიზნებისა და გრძელვადიანი გეგმების განხორციელება. ტერორისტული დაჯგუფებების ლიდერები აღნიშნულ ბავშვებში სამომავლოდ გაცილებით სრულყოფილ და დაუნდობელ მებრძოლებს ხედავენ. ბავშვებზე ადრეული ასაკიდან ხორციელდება ფსიქოლოგიური და რელიგიური ზეწოლა, დაწყებული სკოლიდან და შემდგომ საწრთვნელ ბანაკებში, სადაც მათ ზრდიან შარიათის კანონების მიხედვით, ასწავლიან სამხედრო საქმეს და 10-15 წლის ასაკიდან უყალიბებენ რადიკალურ მსოფლმხედველობას. საყურადღებოა, რომ სკოლებში არ ისწავლება საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათ ასწავლიან ყურანსა და უტარდებათ“ჯიჰადის ტრენინგი“ (Anderson K. Cubs of the Califhate.The Systematic Recruitment,Treining end Use of Children in the Islamic State.2016).

2.3 საერთაშორისო საზოგადოების მიდგომები საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში: სამართლებრივი და კონცეფტუალური ასპექტები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა გამოიხატება სხვადასხვა სამართლებრივი მექანიზმების შემუშავებაში. 1963 წლიდან მოყოლებული, 19 სამართლებრივი აქტი არსებობს:

1) 1963 წლის ტოკიოს კონვენცია „საჰაერო ხომალდში ჩადენილ დანაშაულობათა და ზოგიერთ სხვა მოქმედებათა შესახებ“;

2) 1970 წლის ჰააგას კონვენცია ,,საჰაერო ხომალდის გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ”

3) 1971 წელი მონრეალის ,,სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ”

4) 1988 წლის მონრეალის ოქმი ,,საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის მომსახურე აეროპორტებში ძალადობის უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ’’

5) 2010 წლის „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის წინააღმდეგ ჩადენილი აქტების აღკვეთის შესახებ“.

6) 2010 წლის „სამოქალაქო ავიაციის ხელში უკანონოდ ჩაგდების წინააღმდეგ კონვენციის პროტოკოლი“.

7) 2014 წლის პროტოკოლი, ერთგვარი დამატებითი ოქმი ”საჰაერო ხომალდის ბორტზე ჩადენილი დანაშაულისა და ზოგიერთი სხვა ქმედობათა შესახებ”

8) 1973 წლის ნიუ-იორკის კონვენცია „საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირების, მათ შორის დიპლომატების, წინააღმდეგ ჩადენილი ქმედების შესახებ“.

9) 1979 წელი ნიუ-იორკის კონვენცია „ტყვედ აყვანის შესახებ“.

10) 1980 წლის კონვენცია „რადიოაქტიური მასალისგან ფიზიკური დაცვის შესახებ“.

11) 2005 წლის „რადიოაქტიური მასალისგან ფიზიკური დაცვის შესახებ კონვენციის დამატება“.

12) 1988 წლის კონვენცია „საზღვაო ნაოსნობის წინააღმდეგ მიმართული ქმედების აღკვეთის შესახებ“.

13) 1988 წლის პროტოკოლი, რომელიც ერთვის კონტინენტურ შელფზე მდგარი უძრავი პლატფომის წინააღმდეგ ჩადენილი ქმედების შესახებ კონვენციას.

14) 2005 წლის „საზღვაო ნასნობის წინააღმდეგ მიმართული ქმედების აღკვეთის შესახებ კონვენციის პროტოკოლი“.

15) 2005 წლის პროტოკოლი, რომელიც ერთვის კონტინენტურ შელფზე მდგარი უძრავი პლატფომის წინააღმდეგ ჩადენილი ქმედების შესახებ კონვენციას.

16) 1991 წლის მონრეალს კონვენცია, „ასაფეთქებელი ნივთიერებების აღბეჭდვის შესახებ,მათი ადვილად აღმოჩენის მიზნით“.

17) 1997 წლის კონვენცია „ასაფეთქებელი ნივთიერებებით ჩადენილი ტერორისტული აქტების აღკვეთის შესახებ“.

18) 1999 წლის კონვენცია „ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ“.

19) 2005 წლის კონვენცია „რადიოაქტიური ნივთიერების გამოყენებით ტერორისტული აქტის წინააღმდეგ“. (United Nations „International Legal Instruments“ https://www.un.org/en/counterterrorism/legal-instruments.shtml)

მიუხედავად სამართლებრივი ინსტრუმენტების ასეთი მრავალფეროვნებისა, არცერთი მათგანი არ მოიცავს ტერორიზმის საერთო დეფინიციას, რაც გამოწვეულია სახელმწიფოთა ერთიანი პოზიციის არარსებობით.

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით მოუწოდებენ სახელმწიფოებს, უარი თქვან ტერორისტული ქმედების ორგანიზებაზე, წაქეზებაზე,დაფინანსებაზე, წახალისებაზე, უსაფრთხო თავშესაფრის მიცემაზე, აქტიური ან პასიური მხარდაჭერის განხორციელებაზე. (დ.სუჯაშვილი „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ. გვ.57.)

2003 წელის მიღებული იქნა „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კონვენციის შემსწორებელი ოქმი“ რის შედეგადაც გაიზარდა სია ტერორისტულ აქტად დასაკვალიფიცირებელი ქმედებების. ოქმით სახელმწიფოებს დაევალათ დაესაჯათ არამხოლოდ ორგანიზება არამედ ორგანიზების მცდელობაც.2005 წლის 16 მაისს მიღებულ იქნა „ევროპის საბჭოს კონვენცია ტერორიზმის წინააღმდეგ“ რომელიც ძალაშია 01.06.2007 წლიდან. ამის შემდეგ კი რიგი რეკომენდაციები მიიღეს ტერორიზმთან ბრძოლის განსამტკიცებლად. (European Convention on the Suppression of Terrorism)

ევროპის კავშირი წარმოადგენს პირველი საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელმაც შეიმუშავა შეემუსავებინა ტერორიზმის გამოყენებადი დეფინიცია მასში გაერთიანებულ სახემწიფოებს შორის. აღნიშნული დეფინიცია მიღებულ იქნა 2001 წლის 11 სეტემბრის ტერაქტის შემდეგ. დაახლოებით 1 წლის შემდეგ კი, 2002 წლის 13 ივნისს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ჩარჩო-გეგმა იქნა მიღებული, რომელიც მოიცავს ტერორიზმის საერთო განმარტებას, ადგენს კომპეტენციების გამოყოფას სახელმწიფოთა შორის და იმ პირების დასჯას რომლებიც თანამშრომლობენ ტერორიზმთან. რადგან არ არსებობთა ევროპის სახელმწიფოების საერთო რატიფიცირებული კონვენციები, ართულებდა ბრძოლას ტერორიზმის წინააღმდეგ. ჩარჩო-გადაწყვეტილება პირველი სამართლებრივი დოკუმენტია, რომელიც შეიცავს

არამხოლოდ ტერორიზმის დეფინიციას არამედ მათთან დაკავშირებულ დანაშაულებრივ ჯგუფებს. ჩარჩო-გადაწყვეტილების შესაბამისად ტერორისტული ჯგუფად მოიაზრება შემდეგი: „ორზე მეტი პირისგან შემდგარი, სტრუქტურული ჯგუფი, რომელიც ჩამოყალიბებულია გარკვეული პერიოდის განმავლობაში და ერთობლივად მოქმედებს ტერორისტულ დანაშაულთა ჩასადენად. სტრუქტურული ჯგუფი გულისხმობს ჯგუფს, რომელიც შემთხვევით არ არის შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელსაც არ სჭირდება წევრთა შორის ფორმალურად განაწილებული ფუნქციების წევრობის უწყვეტობისა და განვითარებული სტრუქტურის ქონა''. (დ.სუჯაშვილი „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ. გვ.58.)

აღნიშნული, ჩარჩო-გადაწყვეტილება ასევე სახელმწიფოებს ავალდებულებს შემდეგი სახის დანაშაულის დასჯებს:

1. „ტერორისტული ჯგუფის ხელმძღვანელობა“;

2.“ტერორისტული ჯგუფის ქმედებებში მონაწილეობა ან რაიმე სახით ხელშეწყობა/მონაწილეობა“.

ჩარჩო-გადაწყვეტილების მესამე მუხლი გულისხმობს ,,ტერორისტულ ქმედებებთან დაკავშირებულ დანაშაულებს''. ამ მუხლის განმარტებები ესადაგება საერთაშორისო კონვენციებში არსებულ განმარტებების დანაშაულის შესახებ.(დ.სუჯაშვილი „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ. გვ.63-65.)

ამერიკის შეერთბული შტატების მიდგომები

აშშ-ს კანონმდებლობა მოიცავს ტერორიზმის განმარტების მრავალ ვერსიას.არსებობს ფედერალური და სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გაკეთებული განმარტებები,ეს

გარემოება გამოწვეულია იმით ,რომ აშშ-ის კანონმდებლობა ერთმანეთისგან ასხვავებს შიდა და საგარეო ტერორიზმს, მოცემულ განმარტებებს შორის არსებითი განსხვავება არ არსებობს. აშშ ფედერალური კოდექსის 113ბ თავის მიხედვით,ტერმინი „საერთაშორისო ტერორიზმი“ გულისხმობს ქმედებებს, რომლებიც:

ა) მოიცავს ძალადობრივ ან ადამიანის სიცოცხლისთვის საშიშ ქმედებებს, რაც წარმოადგენს შეერთებული შტატების ან სხვა ნებისმიერი სახელმწიფოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევას,ან რაც შეერთებული შტატების ან სხვა ნებისმიერი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში ჩადენის შემთხვევაში იქნებოდა სისხლის სამართლის დანაშაული.

ბ) განზრახ არის ჩადენილი იმ მიზნით, რომ (I) დაშინოს ან აიძულოს სამოქალაქო მოსახლეობა, (II) ზემოქმედება მოახდინოს სახელმწიფოს პოლიტიკაზე დაშინებით ან იძულებით, ან (III) ზემოქმედება მოახდინოს სახელმწიფოს ქმედებებზე მასობრივი განადგურებით, მკვლელობებით ან გატაცებით.

გ) ძირითადად ხდება შეერთბული შტატების ტერიტორიული იურისდიქციის გარეთ, ან ცდება ეროვნულ საზღვრებს იმის გათვალისწინებით, თუ სად ხდება მათი დასრულება, ან ვის დაშინებას და იძულებას აპირებენ ისინი, ან სად მოქმედებდნენ შემსრულებლები, ან სად ეძებენ თავშესაფარს.(U.S. Code, Chapter 113B_Terrorism.2016)

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განსაზღვრების მიხედვით:

- „ტერორიზმი“ ნიშნავს წინასწარ განზრახულ, პოლიტიკურად მოტივირებულ ძალადობას, რომელიც ჩადენილია ქვენაციონალური ჯგუფების ან ფარული პირების მიერ, არამებრძოლ სამიზნეთა წინააღმდეგ, რაც ჩვეულებრივ მიზნად ისახავს მოსახლეობაზე ზემოქმედებას.

- „საერთაშორისო ტერორიზმი“ ნიშნავს ტერორიზმს, რომელიც მოიცავს ერთზე მეტი ქვეყნის მოსახლეობას ან ტერიტორიას.
- „ტერორისტული ჯგუფი“ ნიშნავს ნებისმიერ ჯგუფს, რომელიც მონაწილეობს ან მოეპოვება მნიშვნელოვანი ქვეჯგუფები,რომლებიც ანხორციელებენ „საერთაშორისო ტერორიზმს“.(Patterns of Global Terorism,United States Department of State,April 2004.)

USA Patriot Act (2001) -რომელიც მიღებული იქნა 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ.პოლიციას ანიჭებს ფართო უფლებამოსილებას, ტერორიზმთან ბრძოლის მოტივით განახორციელოს პოსახლეობის უპრეცენდენტო კონტოლი.აღნიშნული აქტი ევროპელ ადამიანის უფლებათა დამცველ ექსპერტთა მკაცრი კრიტიკის საგანია დღემდე.

აღსანიშნავია რომ ამერიკის შეერთბული შტატების უსაფრთხოების სამსახურები უდიდეს რესურსს ხარჯავენ კონტრტერორისტულ საქმიანობაზე, ხში შემთხვევაში მათ მოქმედებას აკრიტიკებენ მაგრამ ფაქტია, რომ აღნიშნულ სპეცსამსახურებს აქვთ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, ნებისმიერი მოქალაქის კონტროლის ტექნიკური შესაძლებლობები და ამას აკეთებენ კიდეც.ფაქტია რომ აშშ-ის ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ ყველაზე ეფექტური ფორმაა დღევანდელ მსოფლიოში.(დ.სუჯაშვილი „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ. გვ.70-71.)

დასკვნა

წარმოდგენილი ნაშრომის საფუძველზე, თვალნათლივ იკვეთება „საერთაშორისო ტერორიზმის“ თანამედროვე სახე რომელსაც „ახალი ტერორიზმის“ სახელით ვიცნობთ.ნაშრომიდან კარგად ჩანს **პირველი საკვლევი კითხვის** პასუხი , თუ რა არის „საერთაშორისო ტერორიზმი“, რა საფრთხეების შემცველია „ახალი

ტერორიზმი“ მსოფლიოს თანამეგობრობისათვის , თითოეული სახელმწიფოსა და ყოველი კონკრეტული ინდივიდისათვის.

ნაშრომის **მეორე საკვლევი კითხვა** გახლავთ : რა კავშირშია ტერორიზმი ასიმეტრიულ სამხედრო საფრთხესთან? , ნაშრომის შესრულების დროს განვიხილე არაერთი მკვლევარის მიერ დამუშავებული ნფორმაცაია, რომელიც ზუსტად დაემთხვა ჩემს ანალიზს, ტერორიზმის როგორც ასიმეტრიული სამხედრო საფრთხის ფენომენის შესახებ.ტერორიზმი XXI საუკუნეში აღარ არის ისეთი მოვლენა როგორიც გახლდათ წინა საუკუნის განმავლობაში, ტერორიზმმა განიცადა „ტრანსფორმაცია“ და გაცდა ერთი კონკრეტული ქვეყნის მთავრობისადმი მიმართული უკანონო მოქმედებათა ნაირსახეობას.თანამედროვე ტერორიზმი ჩამოყალიბებული საერთაშორისო ასიმეტრიული საფრთხეა რომელიც საფრთხეს უქმნის არა რომელიმე სახელმწიფოს ან მის მთავრობას, არამედ კაცობირიობას. ტერორისტულმა ორგანიზაციებმა წარმატებით მოახდინეს თავიანთ ტერორისტულ საქმიანობასთან სამხედრო ტაქტიკის შერწყმა, აღსანიშნავია ის გარემოება რომ ტერორიზმი არ გახლავთ თანმიმდევრული და პროგნოზირებადი პროცესი რაც მის ასიმეტრიულობას უსვამს ხაზს.ტერორისტულმა ორგანიზაციებმა გააკეთეს არჩევანი და აირჩიეს ტაქტიკა რომლითაც ყველაზე მოულოდნელად და ყველაზე მტკივნეულად შეუძლიათ ზიანი მიაყენონ მსოფლიოს თანამეგობრობას, საერთაშორისო ორგანიზაციებს და მოსახლეობა აცხოვრონ შიშის პირობებში.აღნიშნულ ანალიზზე დაყრდნობით შეგვიძლია დასკვნის სახით ვთქვათ რომ საერთაშორისო ტერორიზმი არის ჩამოყალიბებული და კარგად ორგანიზებული, როგორც სიმეტრიულ ასევე ასიმეტრიულ საფრთხეთა ერთობლიობა.

ნაშრომის **მესამე საკვლევ კითხვაში** ჩვენ გვაინტერესებდა, როგორია საერთაშორისო საზოგადოების როლი და მიდგომები საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საკითხში.ნაშრომზე დაყრდნობით გამოიკვეთა საერთაშორისო საზოგადოების ორი მიმართულებით ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ, როგორც კონტრტერორისტული საქმიანობა ასევე სამართლებრივ, კონცეპტუალური მიდგომები.

კონტრტერორისტული თვალსაზრისით აღსანიშნავია ის ღვაწლი, რომელსაც საერთაშორისოო საზოგადოება და განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატები დებენ კონტრტერორისტულ საქმიანობაში.მიმდინარეობს უწყვეტი 24 საათიანი დაკვირვება ყველა საეჭვო პირსა და ორგანიზაციაზე, იხარჯება კოლოსალური რაოდენობის თანხები, ტარდება კონტრტერორისტული ოპერაციები და ოპერატიულ ტაქტიკური ღონისძიებები, რათა მოხდეს როგორც საფრთხის ლიკვიდირება ასევე მისი პრევენცია საწყის ეტაპებზე. არის შემთხვევები როდესაც ინდივიდის ტერორიტული ზრახვების განეიტრალება ხდება მანამდე, სანამ იგი ამას დაგეგმავს(მოწყვლადი პიროვნებების იდენთიფიცირება და დამუშავება).მსოფლიოს მასშტაბით შექმნილია ათეულობით ანტი/კონტრ ტერორისტული სამსახური რომელიც კოორდინირებულად მუშაობენ ერორისტული საფრთხეების ასაცილებლად. მიმდინარეობს სამართლებრივი და კონცეპტუალური მუშაობა მსოფლიოს წამყვანი ორგანიზაციების და მათ დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურების მხრიდან რომლის შესახებ ნაშრომში ფართოდ არის მოცემული ინფორმაცია.განვითარებული და საღად მოაზროვნე მსოფლიო თანხმდება იმ საკითხში რომ „ტერორიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლა უნდა იყოს კოორდინირებული და ერთობლივი მთელი მსოფლიოს მხრიდან.

მეოთხე საკვლევი კითხვა : რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი „ისლამური სახელმწიფოს“ როგორც აგრესიული კვაზი სახელმიფოს ჩამოყალიბებას?

რაც შეეხება ფაქტორებს რომელთაც ხელი შეუწყვეს ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ ჩამოყალიბებას,შეგვიძლია ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ვთქვათ რომ ეს არ იყო ერთი კონკრეტული გარემოება, აქ გვხვდება გარემოებათა ფართო სპექტრი როგორებიცა **: სოციალური მგომარეობა,** „ისლამური სახელმწიფო“ შარიათის კანონების მიხედვით ასრულებს მუსლიმთა 5 ძირითად მოვალეობას, რომელთაგან ერთ-ერთია მოწყალების გაღება.სოციალურად გაჭირვებულ მოსახლეობას ეხმარება „მთავრობა“.**ჯანდაცვის პოლიტიკა** ისლამური სახელმწიფოს კონტროლირებად ტერიტორიაზე სამედიცინო მომსახურება ყველა

მცხოვრებისათვის სრულიად უფასოა.ყველაზე მთავარი ფაქტორი კი გახლდათ ის რომ მიმდინარეობდა ფართო მასების **იდეოლოგიური** დამუშავება. „ისლამური სახელმწიფოს“ მიდგომა მდგომარეობს იმაში რომ რწმენას, ამ შემთხვევაში ვაჰაბიზმს იყენებენ არა როგორც სასულიერო არამედ პოლიტიკური იმართულებით, ვაჰაბიზმი გადაიქცა არა რელიგიად არამედ იდეოლოგიად. „ისლამური სახელმწიფოს“ მმართველი ელიტის გაცხადებულ მიზნს წარმოადგენს გაერთიანებული არაბული სახელმწიფოს აღდგენა, რომელიც დაფუძნებული იქნება არა ეროვნულობის პრინციპზე არამედ ერთმორწმუნეობის პრინციპზე.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა ნაშრომის ჰიპოთეზა : ტერორიზმის ფენომენის ცვლილებები განხორციელდა ეპოქალური მოვლენების მიჯნაზე,როდესაც დასრულდა კლასიკური „ცივი ომი“ და მსოფლიო წესრიგის კონტურები დაეფუძნა ანარქიული მოდელირების პრინციპებს.გაჩნდა ახალი ტიპის გამოწვევები,რომლებსაც გაუჩნდათ კონკრეტული სახის სამხედრო-პოლიტიკური განზომილებები -იგივე აგრესიული კვაზი სახელმწიფოებრივი აქტორების სახით, სადაც საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციები გარდაიქმნენ კარგად ჩამოყალიბებულ სამხედრო ტიპის გაერთიანებებად, რომელიც იქცა XXI საუკუნის მთავარ გამოწვევად.

XX-საუკუნის 90 იანი წლებიდან XXI-საუკუნის დასაწყისამდე იყო ასევთქვათ გარდამავალი ფაზა, მსოფლიოში დასრულდა ცივი ომი და მსოფლიოს წინაშე არ იყო რაიმე გლობალური გამოწვევა(რათქმაუნდა კოლალური ომები მიმდინარეობდა). სწორეს აღნიშნულ პერიოდში, ფართო მასებისათვის სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა ახალი ასიმეტრიული საფრხე, რომელსაც საერთაშორისო ტერორიზმი ქვია,ასევე შეგვიძლია „ახალი ტერორიზმი“ ვუწოდოთ.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტით იწყება ახალი პეიოდი მსოფლიო უსაფრთხოების სისტემაში.მსოფლიოს უძლიერესმა სახელმწიფომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიიღო უდიდესი დარტყმა ჯიჰადისტურ ექსტრემისტული ორგანიზაცია „ალ-ქაიდას“ მხრიდან.აღნიშნული ტერაქტი თავისი არსით შეიძლება შევადაროთ ისეთ

ისტორიულ მოვლენებს როგორიც იყო მეორე მსოფლიო ომის დაწყება, ან ბირთვული შეიარაღების გამოყენება ხიროსიმასა და ნაგასაკში.მსოფლიო აღმოჩნდა ახალი ტიპის გამოწვევის წინაშე რომლის პრევენცირებაც იმ დროისათვის თითქმის შეუზლებელი იყო.ამ დროიდან იწყება დანდობელი ბრძოლა ტერორისტულ ორგანიზაციებსა და ანტიტერორისტულ კოალიციას შორის.მრავალი ტერორისტული აქტისა და კონტრტერორისტული ოპერაციის შემდეგ , 2014 წელს ვხედავთ რომ ყალიბდება ახალი ეგრედ წოდებული „ისლამური სახელმწიფო“ რომელსაც არათუ ტერორისტული აქტების მოწყობის, არამედ ტერიტორიული პრეტენზიებიც კი გააჩნია და ამ პრეტენზიებს საკმაო პერიოდის განმავლობაში იკმაყოფილებდა კიდეც. მონაცემთა ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ რომ დღეის მდგომარეობით „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციები უკიდურესად შესუსტებულია, მათი კონტროლირებადი ტერიტორიები თითქმის გაწმენდილია,მაგრამ საფრთხე კვლავინდებურად დიდია.

„მართალია ისლამური სახელმწიფოს პოზიციები უკიდურესად შესუსტდა, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება რომ, ბრზოლა ტერორიზმის წინააღმდეგ არ არის კონვენციური ბრძოლის მოდელი.საფრთხე უწინდებურად დიდია, რადგან ტერორისტული იდეოლოგია კვლავ ცოცხალია და ახდენს მასებზე მუშაობას.“(გვარამია.გ ექსპერტი უსაფრთხოების სფეოში.ინტერვიუ.)

საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა წარმატებას ვერ მიაღწევს ერთი კონკრეტული სახელმწიფოს ან ორგანიზაციის ძალისხმევით, წარმატებისათვის აუცილებელია მჭიდრო თანამშრომლობა და მაღალი ხარისხის კოორდინირებულობა, რაც დღეის მდგომარეობით შეძლებისდაგვარად მიღწეულია.

კვლევის საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა რომელსაც ეთანხმება ექსპერტთა სრული უმრავლესობა.საერთაშორისო ტერორიზმი არის XXI საუკუნის მთავარი ასიმეტრიული გამოწვევა. „ცივი ომის“ შემდეგ მსოფლიო წესრიგის კონტურებზე გამოჩნდა ახალი კვაზი სახელმწიფოებრივი აქტორები, რომელთა

გაძლიერებასა და ჩამოყალიბებაზე იმექმედა უპირველეს ყოვლისა იდეოლოგიუმა დამუშავებამ და გაერთიანებული არაბული სახალიფოს აღდგენისაკენ მოწოდებამ, ასევე ეკონომიკურმა, სოციალურმა და პოლიტიკურმა ფაქტორებმა.

ბიბლიოგრაფია:

- სუჯაშვილი.დ „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ.
- .მაღრაძე.გ მაისაია.ვ ,,21-საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები“, გამომცემლობა, ,,უნივერსალი“, თბილისი, 2017
- ანთაძე.გ ,,სტრატეგიული კვლევები N2 ‘‘ გამომცემლობა ,,საუნივესიტეტო წიგნი‘‘ თბილისი, 2009 წელი.
- კაციტაძე.კ ,,სტრატეგიული კვლევები N1 ‘‘ გამომცემლობა ,,საუნივესიტეტო წიგნი‘‘ თბილისი, 1999 წელი.
- ჩიტაძე.ჩ ,,ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი“, გამოიცა პროექტის,,ნატოს სწავლების“ ფარგლებში, თბილის, 2008 წელი.
- ვარდოსანიძე ს., ტერორისტული ორგანიზაციები და მათი საქმიანობა, თბილისი, 2007.
- მაისაია ვ. ობოლაძე ბ., ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ტერორიზმი XXI საუკუნეში, თბილისი 2009.
- ალადაშვილი ბ., ,,ეკონომიკური უსაფრთხოება: თეორია, მოდელირება და პრაქტიკა”, თბილისი, 2011.
- კაციტაძე კ., ,,სტრატეგიის საფუძვლები”, თბილისი, 2007.
- ბესელია მ. ,,ნატოს სტრატეგიული კონცეფცია და ასიმეტრიული სამხედრო საფრთხეები: ახალი ტერორიზმის ფენომენი და მასთან ბრძოლის სტრატეგიები“. კსუ-ს სამაგისტრო ნაშრომი. თბილისი-2018.
- ბატიაშვილი.ზ უსაფრთხოების მიმოხილვა „ ჯიჰადისტური საფრთხეების ტრანსფორმაცია“ საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი 2018.
- *მაისაია.ვ თანამედროვე ისლამის როლი მსოფლიო გეოპოლიტიკაში: (რეგიონული პროცესების მაგალითზე), – ფრიდრიხ ებერტის ფონდი*

- ბატაშვილი.ზ უსაფრთხოების მიმოხილვა „პოსტ ISIS პერიოდი, საფრთხეები და გამოწვევები გლობალურ და ლოკალურ დონეებზე“.
- ინტერვიუ გვარამია.გ ექსპერტი უსაფრთხოების დარგში
- ინტერვიუ გუჩუა.ა ექსპერტი ბირთვული უსაფრთხოების დარგში
- Chailand G., Blin A., The History of Terrorism from Aniquity To Al Qaeda. London: university of California Press, Ltd, 2007.
- Mc Laughlin P.Radicalism:A Pilosophical Study.New-York : Palgrave Macmilan.2012.
- Laqueur W.The New Terrorism: Fanaticism and the Arms of Mass Destruction.New-York : Oxford University Press.2000წ.
- Speckhard A., Yayla S.A. The ISIS Emni: The Inner Working and origins of ISIS's Intelligence Apparatus.Research paper. International Center for the study of Violent Extremism.December 3,2016.
- Anderson K. Cubs of the Califhate.The Systematic Recruitment,Treining end Use of Children in the Islamic State.2016.
- Patterns of Global Terorism,United States Department of State,April 2004.
- United Nations „International Legal Instruments“ https://www.un.org/en/counterterrorism/legal-instruments.shtml)
- U.S. Code, Chapter 113B_Terrorism.2016 - https://www.law.cornell.edu/uscode/text/18/part-I/chapter-113B